# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


სამშაბათი, 30 ივნისი, 2015 წელი.

№119 (7764)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ვებ გვერდი: www.sakresp.ge | ფასი 50 თეთრი.


## აგებს თუ არა პასუხს ეროვნული ბანკი ლარის გაუფასურებაზე? ⑥



### ფინანსურსა და ეკონომიკურ კრიზისებს შორის განსხვავებაა

## „კუ და მორიელის“ იგავი...

## „რუსთავი-2“ ისევ გვატყუებს! ⑤



## ჯერ სამშობლო, მერე საკუთარი თავი... ⑦

### ილია ჭავჭავაძიდან თანამედროვე უღირსებო და უეროვნებო ჩინოვნიკებამდე!

## ვერეს ტალახიანი წყლით განწმენდილი თბილისი ③

## რაც ამერიკისთვის გამარჯვებაა, სამყაროსთვის დასასრულის დასაწყისია!!! ③




### ილია მეორე აშშ-ში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას დიდ შეცდომას უწოდებს ②

### ირაკლი ღარიბაშვილი: ყველაფერს გავაკეთებ, რათა კონსტიტუციაში გაჩნდეს ჩანაწერი, რომ ქორწინება, ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა

## რამაზ საყვარელიძე: ნარკოტრანზიტის მიმართ ინტერესის გამო, აგრესიული ისლამი აუცილებლად მოუახლოვდება საქართველოს ④

# პატრიარქის ინიციატივა — დიდი ერთობის საწყისი



8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის დღეს — ყოველთა ძლიერთა დღეს, დედა უნივერსიტეტის დაარსების დღეს, გელათში, გელათის აკადემიის ისტორიულ კომპლექსში გახსნილი „ქართული ერთობის დარბაზის“ კონგრესის გადაწყვეტილების შესაბამისად საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდება „ქართული ერთობის დარბაზის“ კონგრესის სესიები. დღემდე ჩატარებულმა თბილისის, ბათუმისა და გორის სესიებმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღეს. გამოქვეყნებულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკასა“ და „ქართულში“.

სექტემბერ-ოქტომბერში კონგრესის სესიები ჩატარდება თურქეთში, ირანში, აზერბაიჯანში, საფრანგეთში, ისრაელში, რუსეთში, გერმანიაში, საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში, ჰოლანდიაში, აშშ-ში, ბელგიაში, ავსტრიაში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ანუ საზღვარგარეთის იმ ქვეყნებში, სადაც ისტორიულად თუ ქვეყნის ბედუკუღმართობით შექმნილი სიმძიმეების გამო ცხოვრობს ქართველობა, ცხოვრობენ საქართველოს შვილები, მიუხედავად მათი ეროვნული წარმომავლობისა და დღევანდელი მოქალაქეობისა.

25 ივნისს დაიწყო და უახლოეს პერიოდში ყველა ამ ქვეყანაში შეიქმნება საორგანიზაციო კომიტეტები, დაიწყება მუშაობა კონგრესის საზღვარგარეთის სესიების მომზადებისათვის და ყველაფერი ამის პირველი ეტაპი დასრულდება ოქტომბერში, სვეტიცხოვლობას, როცა შედგება ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესი, „სწორედ ისე, როგორც ეს განაცხადა საქართველოს სულიერმა მოძღვარმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

სასიამოვნოა, რომ პატრიარქის ამ ინიციატივამ ქვეყანაში და მის გარეთ ერთობის დიდი პროცესი დაიწყო და ამის კარგ ნიშნად იქცა პრემიერ-მინისტრის განცხადება კონგრესის ჩატარების სახელისუფლებო მხარდაჭერის თაობაზე.

„ქართული ერთობის დარბაზი“ კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დღეს ქვეყანას სჭირდება ყველა დონეზე, ხელისუფლებაშიც და ხელისუფლების გარეთაც, თანამშრომლობის განწყობა. სწორედ ამ განწყობით შექმნეს დარბაზის დამფუძნებლებმა „მოქმედების მანიფესტი“ — ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“, რომელიც კონგრესმა დაამტკიცა გელათში.

„ქართული ერთობის დარბაზის“ დამფუძნებელთა და აღმასრულებელი საბჭოს დიდი სურვილია — კონგრესი იქცეს მომდევნო წელს გენიალური შოთა რუსთაველის 850 წლისთავის მსოფლიო მასშტაბით აღნიშვნის და საქართველოს მომავლის მეცნიერული პროგრამის შედგენის დიდ საწყისად.

„ქართული ერთობის“ კონგრესის გელათის, თბილისისა და ბათუმის სესიების ეს გადაწყვეტილება დაადასტურა ტრადიციულმა შეხვედრამ სამების ახალგაზრდულ ცენტრში 22 და 24 ივნისს. ერთმაც და მეორემაც უდიდესი შეფასება მისცა პატრიარქის ინიციატივას — სვეტიცხოვლობას ქართველთა კონგრესის მოწვევის თაობაზე და დაადასტურა სრული მზადყოფნა ჩაერთოს საპატრიარქოს მიერ შემუშავებული პროგრამის განხორციელებაში.

დღეს ქვეყანას სჭირდება ყველა დონეზე, ხელისუფლებაშიც და ხელისუფლების გარეთაც, თანამშრომლობის, ურთიერთთანადგომის დიდი სურვილი.

„ქართული ერთობის დარბაზის“ აღმასრულებელი საბჭოს სახელით

**რამაზ ლომინაძე,**
**პროფესორი.**
26 ივნისი, 2015 წელი

# ჩემი თანამდებობრივი პოზიცია არ მაძლევს საშუალებას, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელს რამეში ღიად დავდო ბრალი



**უნდა ვაღიაროთ, რომ თავიდანვე იყო გაუგებრობა, კომუნიკაციის ნაკლებობა მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ასავალ-დასავალთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში.**

„დიახ, ეროვნული ბანკის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების მხრიდან შესაძლებელი იყო, მოსახლეობისთვის უფრო კარგად აგვეხსნა, თუ რა იწვევდა ლარის კურსის ვარდნას, რაც, პირველ ეტაპზე, სათანადოდ ვერ გაკეთდა. საერთოდ, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა დოლარიზაციის მაღალი დონე. ჩვენს მოქალაქეებს ბანკებიდან სესხები აღებული აქვთ დოლარში. ლარში რომ ჰქონდეთ აღებული, ეროვნული ვალუტის გაუფასურება მათთვის ასეთი მტკივნეული არ აღმოჩნდებოდა. შესაძლოა, კურსის ვარდნა არც კი ეგრძნოთ. ხაზგასმით ვამბობ, რომ ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო და ეროვნული ბანკი შეთანხმებულად უნდა მუშაობდნენ. აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენი მთავრობის მხრიდან ყოველთვის არსებობდა ეროვნულ ბანკთან კონსტრუქციული ურთიერთობის სურვილი, რადგან ჩვენ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისად ვმოქმედებთ და არა პირადი სურვილებისა და ემოციების მიხედვით“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რაც შეეხება სამომავლო პროგნოზს, პრემიერის თქმით, ასეთ კრიზისულ სიტუაციაში ყველაზე მთავარია სიმშვიდის შენარჩუნება. ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილს ეროვნული ბანკის პროგნოზი მოჰყავს, რომლის მიხედვითაც, უახლოესი თვეების განმავლობაში ლარის კურსის შემდგომი ვარდნა მოსალოდნელი არ არის.

გიორგი ქადაგიძის პასუხისმგებლობის თაობაზე დასმული კითხვის საპასუხოდ კი, პრემიერმა განაცხადა, რომ მისი თანამდებობრივი პოზიცია არ აძლევს საშუალებას, ეროვნულ ბანკსა და მის ხელმძღვანელს რამეში ღიად დასდოს ბრალი.



# ილია მეორე აშშ-ში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას დიდ შეცდომას უწოდებს

**როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას ბრძანა, არის შემთხვევები, როდესაც ადამიანები და სახელმწიფოები უკანონობას აკანონებენ.**

„მედიიდან და პრესიდან ვიცით, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველა შტატში იყოს დაშვებული ერთსქესიანთა ქორწინება. ეს დიდი შეცდომაა და ამას ამბობენ თვითონ ამერიკელები, სასულიერო პირები. ამას ვადასტურებთ ჩვენც და ვამბობთ, რომ ეს არის დიდი შეცდომა“, — განაცხადა პატრიარქმა.

მისივე თქმით, ქართველმა ადამიანმა უნდა გაარჩიოს სად არის კეთილი და ბოროტი და რა არის მისაღები და მიუღებელი.

— — — — — — — — — — — — — — — — — — —

# საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთთან ურთიერთობების გაღრმავებას

**განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სინძიან უიღურეთის ავტონომიური რეგიონის თავმჯდომარის მოადგილე ხუანგ ვეისთან შეხვედრაზე.**

მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობების სტრატეგიულ საკითხებზე ისაუბრეს. აღინიშნა, რომ ბოლო პერიოდში საქართველოსა და ჩინეთს შორის ორმხრივი პარტნიორობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და გააქტიურდა ურთიერთობები მაღალ დონეზე.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებზე. აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით არსებობს უზარმაზარი პოტენციალი.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ჩინეთის პრეზიდენტის ინიციატივას, რომელიც ითვალისწინებს ძველი აბრეშუმის გზის აღდგენას თანამედროვე რეალობაში. საქართველოს მთავრობის მეთაურმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს ხელი მოეწერა აბრეშუმის გზის, ახალი ეკონომიკური სარტყელის ფორმატში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს. ჩინურმა მხარემ გამოთქვა მზაობა, მონაწილეობა მიიღოს ოქტომბერში თბილისში დაგეგმილ „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმში“.

# ყველაფერს გავაკეთებ, რათა კონსტიტუციაში გაჩნდეს ჩანაწერი, რომ ქორწინება, ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა

**მე, როგორც პრემიერ-მინისტრი და როგორც საქართველოს მოქალაქე, ყველაფერს გავაკეთებ, რათა კონსტიტუციაში გაჩნდეს ჩანაწერი, რომ ქორწინება და ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა, — აცხადებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გაზეთ „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში.**

„რაზე დგას ქართული სახელმწიფო? — ჩვენს სარწმუნოებაზე, რამაც დღემდე მოგვიყვანა და ოჯახის ინსტიტუტზე, რასაც თანამედროვე, ძლიერი საქართველო უნდა დაეუფუძნოს. ოჯახს მეორე ტაძარს უწოდებენ და მწამს, რომ სწორედ ოჯახია ყველანაირი სიკეთის საწინდარი. დღეს მსოფლიოში ყველა სახელმწიფო ამ საკითხს თავისებურად წყვეტს, ჩვენ კი ვთვლით, რომ საქართველოში ეს საკითხი ასე უნდა მოგვარდეს“.

„ქართველები მთელ მსოფლიოში გამორჩეული ერი ვართ, ჩვენი ენით, დამწერლობით, კულტურით, ისტორიით, გაუტეხელი სულითა და ბუნებით, რომელიც ვერც ერთმა მტერმა ვერ დაჯაბნა. ქართველობა ჩემთვის არის დიდი სიმდიდრე და დიდი პასუხისმგებლობა ჩვენი დიდი წინაპრების წინაშე. ქართველობა საამაყოა იმიტომ, რომ ქართველი კაცი თავგანწირვას არასოდეს გაურბოდა. ჩვენი წინაპრები საკუთარ „მე“-ზე არასოდეს ფიქრობდნენ და ყველაზე მაღლა სამშობლოს ინტერესებს აყენებდნენ. დღეს კი გახედეთ, რა ხდება — ის ადამიანები, რომლებიც ოჯახის ინსტიტუტს ეწინააღმდეგებიან, მხოლოდ საკუთარი პირადიდან გამოდიან და მეტი არაფერი ანაღვლებთ“, — განმარტავს პრემიერ-მინისტრი.

# საქართველოს სამეფო სახლის მეთაური ესპანეთს ვიზიტით ესტუმრა

**საქართველოს სამეფო სახლის მეთაური, მისი სამეფო უმაღლესობა ბატონიშვილი დავით ბაგრატიონ-მუხრანბატონი, სამეფო ვიზიტით ესპანეთის სამეფოს სენატს ესტუმრა.**

დავით ბაგრატიონ-მუხრანბატონი მიიღო სენატის ვიცე-პრეზიდენტმა ლუკას გიმენეს ხუან ხოსემ და სენატორმა ლა-რიოხას რეგიონიდან, ფრანსისკა მენდიოლა ოლარტე კოლომამ.

შეხვედრის ფარგლებში განიხილეს 4 უმნიშვნელოვანესი საკითხი: 1. საქართველოს და ესპანეთის —ორი იბერიის ურთიერთობა, პერსპექტივები, საქართველოს ევროპული გზა; 2. ქართული დიასპორა და მზრუნველობა მასზე, ზრუნვა ესპანეთში დაბადებული ახალი თაობისათვის, ქართული ენის და იდენტობის შენარჩუნებისათვის; 3. ესპანეთის ხელისუფლების მხარდაჭერა ქვეყნის ტერიტორიაზე ქართული მართლმადიდებლური ტაძრების ასაგებად; 4. თბილისში მომხდარი წყალდიდობა: მსხვერპლთა და დაზარალებულთა ოჯახების და დედაქალაქის ინფრასტრუქტურის აღდგენაში დახმარება. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა შედგა საკანონმდებლო და არა აღმასრულებელ ხელისუფლებაში, დასმული საკითხები უკვე განსახილველად არის გადაგზავნილი.

## ინფორმაცია

### სტიქიისგან დაღუპულთა ხსოვნას ირლანდიის პრეზიდენტმა პატივი მიაგო

**ირლანდიის პრეზიდენტი მაიკლ ჰიგინსი დუბლინის წმინდა მაქსიმე აღმსარებლის ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში თბილისში მომხდარი წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ლიტურგიას დაესწრო.**

დაღუპულთა სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს ასევე ესწრებოდნენ დიპლომატიური კორპუსისა და ირლანდიაში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლები. მსახურების შემდეგ, ირლანდიის პრეზიდენტი ქართული დიასპორის წარმომადგენლებს გაესაუბრა და ირლანდიელი ხალხის სახელით, თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო მწუხარება გამოთქვა.

თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღვთისმსახურება ირლანდიაში ქართული ეკლესიის წინამძღვრის დავიდ ლონერგანის და ირლანდიაში საქართველოს საელჩოს ინიციატივით გაიმართა.

### კერძო პირების დაზღვეული ტრანსპორტის ზარალის 70% ანაზღაურებულია

**ამის შესახებ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა იოსებ გოგოლაშვილმა და სადაზღვევო ასოციაციის პრეზიდენტმა დევი ხეჩინაშვილმა განაცხადეს.**

მათ 13 ივნისს მომხდარი სტიქიის მიერ მიყენებული ზარალი სადაზღვევო კუთხით შეაჯამეს, სადაზღვევო კომპანიების მიერ გატარებული სამუშაოები და ის, თუ როგორ მიმდინარეობს კერძო თუ იურიდულ პირთათვის ანაზღაურების პროცესი.



მათი ინფორმაციით, ამ ეტაპზე ზარალმა 4.239.722 მილიონი ლარი შეადგინა. კერძო პირთა დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზარალი 551.511 ლარს შეადგენს და აქედან ანაზღაურებულია 70%. იურიდულ პირთა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზარალი 662.104 ლარს შეადგენს და ანაზღაურებულია 40%.

## კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

**● ვერ ვიგებ ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგი რატომ ხართ, ეს პოლიტიკოსები მაინც პედერასტები არიან და ამდენ კოჰაბიტაციას, ბარემ გათხოვდნენ!**

**● სიმამრი რო ქალია, რა სიმწარეა?!**

**● აშუშუს ვთხოვოთ, გვიშველისო, — სასაცილოა!..**

**შენი ირაკლი იმათ ბარაკს ფეხზე ჰკიდია.**

**● ამ ჩვენს პარლამენტს, ის მაინც ხომ შეუძლია, რომ დაგვიბრუნოს ზაფხულის და ზამთრის დრო, თუ მიშას გრაფიკით უნდა დავიძინოთ და გავიღვიძოთ, მთელი ცხოვრება?**




**გაიხედეთ ფანჯარაში საღამოს 9-ის ნახევარზე და ციცინათელებს რომ დაინახავთ, მერე დამეთანხმებით. კი მესმის, რომ გუბაზასთვის სულერთია, დღეა თუ ღამე, მაგრამ იქნებ, ჩვენც მოგვაქციოთ ყურადღება, მაგის დედა არ იყოს!**

**● კარგი იქნება ბისექსუალური ქორწინებაც რომ დაკანონდეს.ქალსაც და კაცსაც ერთდროულად მოიყვან ცოლად და ბალღებს ორი დედა ეყოლებათ, ერთი ძუძუს აჭმევს,მეორე ბაღში გაასეირნებს და ფულს შემოიტანს ოჯახში, ჩვენ კი ძმაბიჭებში და ბოზებში გავერთობით!!!**

**● ყველაზე შორსმჭვრეტელები კაი გამოქვაბულებს ითრევენ და წვეტიან ქვებს აგროვებენ — პოსტაპოკალიპტური პერიოდისთვის...**

**● ნოდარი, ჭამე რამე გეხვუუუუუერწები, თორე წაიღეს ტვინი ამ პედერასტებზე სტატუსებით!**

**● არ დაგნებდებით! სქესს შევიცვლი და მაინც ქალზე ვიქორწინებ!**

**● ყველა ტელევიზია ისეთი ისტერიით გადმოსცემს ჩრდილო კავკასიაში ისლამური სახელმწიფოს ვილაიეთის შექმნას, თითქოს ისლამურმა სახელმწიფომ მახაჩკალა უკვე აიღო და ჩეჩნეთის საზღვრებსაა მიმდგარი... ნეტა რისთვის ატეხეს ეს ისტერია ყველამ ერთხმად?**

**● ბრაზილიამ, არგენტინამ, ურუგვაიმ უვიზო მიმოსვლა გაგვიფორმა, ჩილე რიგშია და...**

**ევროკავშირის მაგივრად ლათინოამერიკული ინტეგრაციის ასოციაციას ხო არ მივწოლოდით?..**

**● არ შეიძლება სიესტა დავაწესოთ?... ადუღდა თავი!**

**● შტრიხკოდიანი ბილეთები რო უნდა გაეყიდათ, მაგიტომაც დასაჯა ღმერთმა და დაუბლოკა საიტი...**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

თვალსაზრისი




## გიორგი ტიგინაშვილი:

# რაც ამერიკისთვის გამარჯვებაა, სამყაროსთვის დასასრულის დასაწყისია!!!

აშშ-ში შექმნილ მორალურ მდგომარეობასა და სასამართლოს გადაწყვეტილებას ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების შესახებ თეოლოგი, მწერალი გიორგი ტიგინაშვილი (ივრისპირელი) ეხმიანება და ამბობს, რომ ეს გადაწყვეტილება კაცობრიობის ლოკალური მარცხია.

**„როგორც ვხედავთ აშშ-ში ერთსქესიანთა ქორწინება ნებისმიერი შტატის ჰომოსექსუალი მოქალაქისთვის ლეგალიზებული გახდა. გადაწყვეტილება აღნიშნული ქორწინებების დასაშვებობის შესახებ მათმა უზენაესმა სასამართლომ მიიღო.**

**ძალიან სამწუხაროა: ეს არის კაცობრიობის ლოკალური მარცხი და მიდრეკა ფსიქიკური აშლილობისაკენ, მარტოობის, სულიერი სიკვდილისა და უზნეობისგან დაჩიავების წინაპირობა!**

ამ მოვლენას, ცხადია, რომ ინერციით უნდა მოყვეს ყოველგვარი პერვერსიისა თუ გარყვნილი წარმოდგენის პროპაგანდა, პიროვნების ბიოორგანიზმამდე ჩამოპირუტყვება, უხამსობის რეკლამირება, არაბუნებრივის გაბუნებრივება და ცოდვის „ჩვეულებრივობა“.

ტენდენციის ამაზრზენი დინამიკით თუ ვიმსჯელებთ, მიმდინარე პროცესებს ლოგიკურად მოყვება ზოოფილიის, გერონტოფილიის, პედოფილიისა და პოლიგამიის დაკანონებაც, რამეთუ იმ პრინციპით, რითაც ჰომოსექსუალიზმი მართლდება, ამ დანარჩენებსაც აქვთ „გამართლება“!

ამგვარი დადგენილებით, უტიფრად, თავისუფლების ეგიდით, აშშ-ის პოლიტელიტა აგდებულად დასცინის ზოგადად ყველა ტრადიციულ რელიგიას, ბიბლიას, ეთიკას, მედიცინას, ოჯახის ინსტიტუტსა და წესიერებას. მათი პრეზიდენტის აზრით, თურმე **„ეს ამერიკისთვის გამარჯვებაა, რადგან მილიონობით ამერიკელი უფრო თავისუფალი გახდა...“**

ძნელია ავტორს, წინადადების მეორე ნაწილში შეედავო, რადგან ისინი ნამდვილად თავისუფალნი გახდნენ, თუმცა, საკითხავია რისგან.

რისგან და აშკარაა, რომ მადლისგან, სინდისისგან, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისგან. თავსმოხვეული ფსევდოეთიკის დაკანონებით, წაახალისეს ურცხვი თვითპრეზენტირება და მომავალ თაობებს სექსუალური იდენტიფიცირების, თვითგამორკვევისა და მორალური ორიენტირების ჩიხი შესთავაზეს, რომლის კედელიც ავადმყოფურ მდგომარეობაზე გადის.

**დიახ, თომას ჯეფერსონის პოლიტიკურმა მემკვიდრეებმა ფსიქოლოგიური ჰერმაფროდიტობის დაცემულ ავანგარდში გაიწვიეს თავიანთი შვილებისა და შვილიშვილების ხვალინდელი დღე. არადა, ისტორიიდან ცნობილია, რომ აშშ-ის ერთ-ერთმა „დამფუძნებელმა მამამ“, დამოუკიდებლობის დეკლარაციის მთავარმა ავტორმა და ქვეყნის მესამე პრეზიდენტმა თომას ჯეფერსონმა, ვირჯინიის შტატში გუბერნატორობის დროს, 1799 წელს, ჰომოსექსუალიზმი გაუპატიურების ტოლფას დანაშაულად სცნო და ამ ორ დანაშაულს ერთნაირი სასჯელი დაუწესა!...**

**უნდა აღინიშნოს, რომ თეოლოგიური თვალთახედვით, აღვირახსნილი ჰომოსექსუალიზმი, საკუთარ ვნებას სიცოცხლის არსად ასაღებს, რაც თვალთმაქცობა და სრული უკუღმართობაა.**

ის, რაც თაობათა გამრავლებისთვის მოგვენიჭა, მათი ყოფაქცევით, ამიერიდან, მხოლოდ ბილწი ფანტაზიების მასტიმულირებელი უნდა გახდეს! ფაქტია, რომ ისინი დაუფარავად ცდილობენ ტრადიციული ოჯახური იდეალების ნიველირებას. სწორედ ესაა ლგბტ პირთა პროპაგანდის გამიზნული განზრახვაც...

ასეთ ვითარებაში თავისთავად ჩნდება ერთობ რიტორიკული კითხვა — რა უნდა ვქნათ მორწმუნე ქრისტიანებმა და როგორ შევხედოთ ამ გლობალურ დეგრადაციას?

**ჩემი პასუხი ასეთია: უნდა გვახსოვდეს, რომ ქრისტიანი პატივს სცემს ნებისმიერი ადამიანის არჩევანის თავისუფლებას, როგორც ღვთივბოძებულ და ფუნდამენტურ უფლებას, მაგრამ, ამავდროულად, რჩება ავტონომიური, რომ კვლავ ღვთივდადგენილი ნორმების შესაბამისად მოიწონოს, ან არ მოიწონოს გაკეთებული არჩევანი.**

**თანახმად წმ. პავლე მოციქულისა — „ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი როდი მრგებს“. გვძულდეს ცოდვა, მაგრამ არა ცოდვილი და აუცილებლად გვებრალებოდეს დაცემაში გათქვეფილი ადამიანი. პირადი სიჯანსაღით გამოვხატოთ კეთილზნეობის მაგალითი და ვილოცოთ სამყაროს გადარჩენისთვის.**

საზოგადოებამ ძალიან კარგად დაინახა!..

# ვერეს ტალახიანი წყლით განწმენდილი თბილისი

**ძალიან ბევრი რამ დაიწერა 13-14 ივნისის ღამეს საქართველოს თავს დატეხილ ტრაგედიაზე. დაიწერა და ახლაც იწერება როგორც პრესაში, ასევე სოციალურ ქსელებში.**

**ერთი საოცარი სტატუსი გამოჩნდა ფეისბუქზე, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:**

**ვერარეჩკის ტალახიანმა წყალმა განწმინდა თბილისი! ჩამორეცხა და ძალიან კარგად გამოაჩინა ვინ-ვინ არის. დაგვანახა, რომ პოლიტიკანები, რომლებიც ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით „გვმოძღვრავენ“, მხოლოდ მოსიარულე აუდიოჩანაწერები ყოფილან. ე.წ. „ცნობადი სახეები“ — საპნის ბუშტები, რომლებიც ბრჭყვიალებენ, მაგრამ ძალიან მალე სკდებიან.**

**გამოჩნდა ბრწყინვალე ახალგაზრდობა და ძველგაზრდობა, რომლებმაც იშრომეს და თუ საჭირო იქნება, კვლავაც იშრომებენ.**

**მოკლედ რომ ვთქვა, ვერარეჩკის ტალახიანმა წყალმა განწმინდა თბილისი!**

**მოდით ვნახოთ თუ რა გამოაჩინა ვერარეჩკის ტალახიანმა წყალმა.**

დავიწყოთ მედიიდან. პირველი ორი დღე ისმოდა მადლობები „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტების თავდადებისა და პროფესიონალიზმის შესახებ. ემადლიერებოდა ყველა: ხალხი, მთავრობა, კოლეგები, მაგრამ სიმართლე ისაა, რომ „რუსთავი-2“-ის ტექნიკური შესაძლებლობები, რამაც განაპირობა მათი ოპერატიულობა, სულაც არ ნიშნავს მაღალ პროფესიონალიზმს. ჟურნალისტებმა იმუშავეს ისე, როგორც ასწავლეს და როგორც უნდა ემუშავათ. როგორც იმუშავებდა ნებისმიერი სხვა. რაც შეეხება თავად ტელეკომპანიას, მათი „პროფესიონალიზმი“ , „კრეატიულობა“ და გემოვნება ნათლად გამოჩნდა სასაფლაოდ ქცეულ ხევში მოწყობილი პოდიუმიდან გასულ „კურიერში“, ხოლო ის მუხტი, რითიც სუნთქავს ეს დაწესებულება (ხაზს ვუსვამ: — დაწესებულება!) დავინახეთ პაატა იაკობაშვილის და გაბუნიას ტანდემიდან. იმათ გადაცემაში მოვისმინეთ ვაჭარაძის „კომპეტენტური“ მოსაზრებები, სხვადასხვა შეცდომის (რომლებიც ექსტრემალური პირობების დროს ცხადია რომ იქნებოდა) მრავალგზის გამეორება და ყველაზე მნიშვნელოვანი: მოწოდება პოლიციისადმი სავარაუდო მაროდიორობის აღმოფხვრის შესახებ, რომელმაც მათდა სამწუხაროდ, არ გაამართლა!

ოთხშაბათს „იმედზე“ და „რუსთავი 2“-ზე გავიდა გადაცემები თბილისის ტრაგედიაზე.

ამ ორ გადაცემას შორის ძალიან დიდი განსხვავება გამოჩნდა. ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემების მიმართ არც თუ დიდი წარმოდგენის ვარ, მაგრამ აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ იმ დღეს ეკა ხოფერიას შოუ სითბოთი და სიყვარულით იყო სავსე.

სტუმრები და წამყვანი იზიარებდნენ ამ საშინელ ტრაგედიას, ეხმარებოდნენ დაზარალებულებს. ეფერებოდნენ, ტიროდნენ, ამხნევებდნენ, გულთან მიჰქონდათ საქართველოს ტკივილი.

„რუსთავი-2“-ზე იღრინებოდნენ, ყეფდნენ, ცოფავდნენ მაყურებელს და არ ინდობდნენ არაფერს. ანადგურებდნენ ყველაფერს სუფთას და წმინდას!

დავინახეთ პოლიტიკოსების ნამდვილი სახეებიც.

გაუთოებული სახით მდგარი ბაქრაძე ნარმანიას ეუბნებოდა, 100 კაცი გვყავს და მონაწილეობის მიღება გვინდა გმირთა მოედანზე მიმდინარე სამუშაოებშიო („შეწუხებული“ სახით მორბენალ ხაბაზზე, გიგი თევზაძეზე, ე.წ. დეფიზე (თუ „დეფზე“), მოგოგმანე კობა სუბელიანზე და არანაკლებად გაუთოებულ გიგი წერეთელზე აღარაფერს ვამბობ).

საზოგადოებაში მაშინვე გაჩნდა შეკითხვა: — რა საჭირო იყო ამათი კამერების წინ პომპეზურება?

თუ საქმის გაკეთება უნდოდათ, მისულიყვნენ 11-სართულიანთან, ან ზედ მოედანზე, აეღოთ ხელში ნიჩბები და ემუშავათ ისე, როგორც უამრავი ახალგაზრდა მუშაობდა, მაგრამ არა. მათ როგორც ყოველთვის ყველაფერი ფეხებზე ეკიდათ, თავის გამოჩენა და ხელისუფლების „უნიათობის“ დანახება უნდოდათ, რაც ნამდვილად არ გამოუვიდათ.

სამაგიეროდ, კარგად გამოჩნდა ის, რომ ხელისუფლების არცერთი წარმომადგენელი ტელეკამერების წინ არ მარიაჟობდა! შეკითხვებზე ჰქონდათ ლაკონური, ზუსტი და ამომწურავი პასუხები! რა თქმა უნდა ყველანი ღელავდნენ, განიცდიდნენ ამ უბედურებას, მაგრამ მათი ნორმალური და რეალისტური დამოკიდებულება საზოგადოებას ამშვიდებდა!

არც გამკვირვებია, რომ არსად ჩანდნენ პარლამენტის ოდიოზური წევრები, ალბათ, ვინმე ჭკვიანმა კაცმა დაუშალათ გამოჩენა, რომ მათ თავიანთ სტილში „გაჟღერებული“ განცხადებებით ხალხში დამატებით გაღიზიანება და ხელისუფლების მიერ გაკეთებული კარგი საქმეებისთვის ტალახიანი წყლის გადასხმა არ გამოეწვიათ.

როგორც ვიცით, საქართველოში სულ ცოტა 200 პარტიაა, რომლებიც ჩვენი სამშობლოსთვის და ერისთვის იბრძვიან (ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ამბობენ).

თითოეული პარტიის დაფუძნებას სულ ცოტა 300 ადამიანი სჭირდება, რათა ნოტარიულად გაფორმდეს.

200X300=60000.თითოეულს წევრების მიხედვით 1 ლარი რომ გადაერიცხა და 10 კაცი გამოეყვანა სამუშაოდ, არა? როგორც რუსები იტყვიან слабо? არადა, ბიუჯეტიდან, ანუ ხალხის ჯიბიდან დაფინანსების მიღება ყველას უნდა.

ბუნებრივია, რომ შეიქმნა დაზარალებულთა დახმარების ფონდი, რომელშიც უამრავმა მოქალაქემ თუ ორგანიზაციამ სხვადასხვა ოდენობის თანხები გადარიცხეს. თქვენ წარმოიდგინეთ და ვერეს ტალახიანმა წყალმა აქაც ბევრი რამ ჩამორეცხა და ბევრი რამ დაგვანახვა.

„სითი პარკზე“ და მის მიერ გმირთა მოედნის ტერიტორაზე მდგარი მოხალისეების მანქანებისთვის გამოწერილ ჯარიმებზე არაფერს ვიტყვი, რადგანაც მერიამ ეს ჯარიმები გააუქმებინა, მაგრამ ძალიან კარგად გამოჩნდა ამ ორგანიზაციის ნამდვილი სახე. სამაგიეროდ, ერთ-ორ კენჭს კომერციული ბანკების ბოსტანში ვისვრი.

საბანკო სექტორის მოგებამ მხოლოდ 5 თვეში 185 მილიონ 577 ათასი ლარი შეადგინა (ყველამ კარგად ვიცით, თუ რის ხარჯზე მიაღწიეს მათ ამ ნიშნულს). სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად კი მათ 577 ათასი ლარი გადარიცხეს (როგორც ჩანს, მოგება „დაამრგვალეს“).

ეს 577 ათასი ლარი, ბანკების მოგების 0,3%-ია. ეს იმ ფონზე, როდესაც იანვარ-მაისში ბანკებმა სესხებიდან 776 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღეს, ხოლო დეპოზიტების მომსახურებაზე 222 მილიონი დახარჯეს. ანუ ეკონომიკას მისცეს სამნახევარჯერ ნაკლები, ვიდრე ეკონომიკიდან „წამოიღეს“.

5 თვის მოგებიდან საშუალო დღიური მოგება 1.2 მილიონი ლარია. დღეში 1მილიონ 200 000 ლარი!

გამოდის, რომ სტიქიით დაზარალებულთათვის ბანკებმა დღიური მოგების ნახევარი გამოყვეს.

რა თქმა უნდა, თითოეული გადარიცხული ლარი დიდი მნიშვნელობის მატარებელია და კომერციული ბანკები ამით მხოლოდ მადლობას იმსახურებენ. თუმცა, ბანკების მოგების ფონზე მათ მიერ გადარიცხული თანხების მოცულობამ, საზოგადოებაში სერიოზული გაღიზიანება გამოიწვია.

კიდევ ბევრი დაფარული რამ გამოაჩინა ვერეს ტალახიანმა წყალმა. გამოაჩინა ტაქსის მძღოლები, რომლებსაც მოხალისეები უფასოდ გადაჰყავდათ და ელიავას ბაზრობის ის გამყიდველები, რომლებმაც ნიჩბებზე ფასები გააძვირეს.

გამოაჩინა „სამზარეულოს ლომები“, რომელთათვის არა მარტო თბილისი, მთელი საქართველო უცხოა და თავიანთი ცხოვრების „კუჭის წესს“ იმით ამართლებენ, რომ იძახიან: ჯერ ის მაღალხელფასიანი ჩინოვნიკები გავიდნენ სამუშაოდ და მერე გავალთ ჩვენცო.

გამოაჩინა ნაცებისგან დაქირავებული არამზადები, რომლებიც ხან 112-ში და ხანაც „რუსთავი-2-ში“ რეკავდნენ, არიქა, ვეფხვმა ჩამიარა გვერდითო და ამით პანიკის გამოწვევას ცდილობდნენ.

მოკლედ რომ ვთქვა, ბევრი რამე გამოაჩინა ვერეს ტალახიანმა წყალმა. ძალიან ბევრი რამე.

საზოგადოებამ კი ეს ყველაფერი ძალიან კარგად დაინახა!

**გია გაბრიჭიძე**

◎ დამშვიდების უფლება არა გვაქვს



# ახალი სტიქიურ-პოლიტიკური უბედურება

## ნარკოტრანზიტის მიმართ ინტერესის გამო, აგრესიული ისლამი აუცილებლად მოუახლოვდება საქართველოს

**„ისლამისტების ასეთი მოახლოება დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს. როდესაც ვიღაცის ინტერესში ხარ, იმის მოქმედება ყოველთვის შეგეხება. სწორედ იმიტომ, რომ აგრესიულ ისლამის ინტერესია ნარკოტრანზიტი, ის აუცილებლად მოუახლოვდება საქართველოს“, — აცხადებს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე.**

**რა შემთხვევაში იქნება ანტიისლამისტური ძალებისთვის საქართველო გამოყენებული როგორც დერეფანი და რატომ არის სატრანზიტო კუთხით ხელსაყრელი საქართველო აგრესიული ისლამისთვის? ამ საკითხებთან დაკავშირებით რამაზ საყვარელიძეს გვესაუბრება.**

**— მოგეხსენებათ, ძირითადად, ტერორისტების ფინანსური წყარო ნარკოტიკებია. კავკასია კი, ნარკოტიკების გატარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანზიტო ხაზი იყო წლების განმავლობაში. ამიტომ, ყურადღება კავკასიის მიმართ ყოველთვის ექნება. დღეს თუ ალაპარაკდნენ მხოლოდ ჩრდილო კავკასიაზე, ესეც გარკვეულ სპეციფიკასთან არის დაკავშირებული, რადგან სატრანზიტო ხაზად, ძირითადად, სამხრეთ კავკასია ფიგურირებს.**

ასე რომ, ისლამისტების ასეთი მოახლოება დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს. როდესაც ვიღაცის ინტერესში ხარ, იმის მოქმედება ყოველთვის შეგეხება. სწორედ იმიტომ, რომ ნარკოტრანზიტის მიმართ ინტერესი აქვს აგრესიულ ისლამს, ის აუცილებლად მოუახლოვდება საქართველოს. იმის იმედად ყოფნა, რომ დღეს ისინი მხოლოდ მუსულმანური რეგიონებით არიან შემოფარგლული, დიდად დამამშვიდებელი ვერ იქნება. ხვალ და ზეგ უნდა ველოდოთ, რომ აგრესიულ ისლამს სურვილი ექნება მისი კონტროლის ქვეშ ჰქონდეს სატრანზიტო ხაზი.

**— მხოლოდ სატრანზიტო კუთხით არის ხელსაყრელი საქართველო?**

— არა მარტო. სავარაუდოა, რომ ისლამისტების მოძრაობა ადრე თუ გვიან შეეხება საქართველოს და აზერბაიჯანის ინტერესებს. საქართველოსთან მოახლოება სამომავლოდ ხელშემწყობი პირობა იქნება იმისთვის, რომ უფრო აქტიურად დადგეს საქართველოს საკითხი.

**— რა თვალსაზრით?**

— დავუშვათ, თუკი ისლამურმა სახელმწიფომ დაასკვნა, რომ ასეთი რეგიონალური ფრთების შექმნა მისთვის ხელსაყრელია საქართველოში, იგი დაიწყებს რესურსების ძებნას, რომ ასეთი რეგიონალური ანკლავები შექმნას უკვე საქართველოს ტერიტორიაზე. რუსეთიც ქრისტიანული სახელმწიფოა, მაგრამ ამ ქრისტიანულ სახელმწიფოში გამოყო ისლამური რეგიონები და, ფაქტობრივად, ეს რეგიონები გამოაცხადა თავის ნაწილად. გამორიცხული არ არის, რომ ამ ლოგიკით დღის წესრიგში დადგეს საქართველოს საკითხიც.

მართალია, საქართველო ქრისტიანული სახელმწიფოა, მაგრამ აქ არის ისლამური რეგიონი და მითუმეტეს, რომ ამ რეგიონებიდან ადამიანები მიდიან მხარდასაჭერად. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, რომ ისლამურმა სახელმწიფომ საქართველოს თავის ნაწილად გამოცხადება გადაწყვიტოს. არა იმიტომ, რომ ამით ისეთივე ტიპის ამოცანა ექნება, როგორც ჩრდილო კავკასიაში. ჩრდილო კავკასიაში მისი შესვლა რუსეთზე დამიზნებაა, მაგრამ საქართველოში მას სატრანზიტო გზების კონტროლის ინტერესი ექნება, რაც ფინანსურად ძალიან მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მისთვის.

**— შს მინისტრი ამბობს, რომ გამოწვევებზე საუბარი გადაჭარბებულია, თუმცა, აქვე ამბობს, რომ მკაცრდება საზღვრები. ამ საფრთხის ასაცილებლად მხოლოდ საზღვრის გამკაცრება არის საკმარისი?**

— არაერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ საზღვრის გამკაცრება არ უნდა გახდეს პრევენციის ერთ-ერთი სტრატეგია. ცხადია, რომ ისლამური ხალიფატი თავის დასაყრდენს პოულობს ადამიანებში, აი, ეს დასაყრდენი უნდა შეიცვალოს, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკასთან და ახალგაზრდების დასაქმებასთან. უპირველეს ყოვლისა, ამ მხრივ არის ფიქრი აუცილებელი, რადგან გრძელვადიან გარანტიებს ასეთი ცვლილებები მოგცემს.

ფაქტი სახეზეა, რუსეთს გაძლიერებული აქვს თავისი საზღვრები, მაგრამ აი, ამ რუსეთს თავის ტერიტორიაზე მოუწყო ის, რასაც ვერ წარმოიდგენდა. ასე რომ, მხოლოდ ძალა არ შეიძლება აღმოჩნდეს შემაკავებელი. მათ თვითონ აქვთ იმის განცდა, რომ შეუძლიათ ძალით ბევრი რამ გადაწყვიტონ. ამიტომ, დაფიქრება გვმართებს ამ პრობლემის სხვა ასპექტებზე.

**— იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენი პარტნიორი ქვეყნები გადაწყვეტენ მასშტაბურ შეტევას ისლამისტებზე, შესაძლებელია ანტიისლამისტური ძალებისთვის საქართველო გამოყენებული იქნეს, როგორც დერეფანი?**

— რა თქმა უნდა, შეიძლება. მითუმეტეს, საქართველო არის სახელმწიფო, რომელიც საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ანტიისლამისტურ ღონისძიებაში. თუკი პარტნიორი ქვეყნები გადაწყვეტენ მასშტაბურ შეტევას ისლამისტებზე და მითუმეტეს, რომ უკვე კავკასიაში ჩნდება მათი ანკლავი, გამორიცხული არ არის, რომ საქართველო ამ შემთხვევაშიც პარტნიორად გაიხადონ. აგრესიული ისლამი ეს მთელი მსოფლიოსთვის ის პრობლემაა, რომელთანაც ურთიერთობის წესებს ახლა ეძებს. რიგ შემთხვევებში ხან პოულობს, ხან ვერა. ამიტომაც, ტექნიკური და საბრძოლო გამოცდილების თვალსაზრისით, ჩვენზე უფრო მაღლა მდგომი ქვეყნების მხარდაჭერას, დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის. მაგრამ, იმის იმედად ყოფნა, რომ ეს მხარდაჭერა გარანტიებს იძლევა, ძნელია. ვიმეორებ, ეს პოლიტიკური სტიქიური უბედურებაა.

**— ცხადია, რომ რუსეთის ინტერესში ნამდვილად არ შედის ისმალური სახელმწიფოს ხალიფატის გეგმების ხელის არშეშლა. მით უფრო, როდესაც იქ არიან ისეთი ლიდერები, როგორიც არის ჩეჩნეთის პრეზიდენტი, რომლის განცხადებით, ისლამისტები ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ვერ შეძლებენ მხარდაჭერის მოპოვებას. იმ ფონზე, როდესაც რუსეთი ღია დაპირისპირებაშია დასავლეთთან, რამდენად შეძლებს დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე ამ პრობლემის მოგვარებას?**

— ეს განცხადებაც იმის ნიშანია, რომ კადიროვს და მის პატრონს სერიოზულად ეშინიათ იმის, რაც ხდება ისლამურ სახელმწიფოში და ეს თქვა კიდევაც სერგეი ლავროვმა. რამდენად პრობლემას შეუქმნიან ისლამისტები რუსეთს, მით მეტი შანსია, რომ რუსეთი დასავლეთს უფრო მეტად დაუახლოვდეს. რუსები თვლიან, რომ ამ კუთხით საქართველოს პრობლემები არ ექნება, მაგრამ ვიმეორებ, თითქოს, საქართველოს პრობლემა არ ექნება იმიტომ, რომ ისლამისტებიც კარგად აცნობიერებენ, რომ ჩვენთან განსხვავებული რელიგიის გამო ადამიანები არ იდევნებიან, ეს დამშვიდების საშუალებას არ იძლევა.

თუკი ფინანსური და პოლიტიკური ინტერესები მოითხოვს, გამორიცხული არ არის, რომ საქართველოს მიმართ ინტერესი გაიზარდოს და გაძლიერდეს მხარდაჭერების ძებნა ჩვენს მოქალაქეებს შორის. მხარდამჭერების გარეშე ისლამისტური სახელმწიფო აქ საყრდენს ვერ იპოვის. იმისთვის, რომ ეს მხარდამჭერები არ გამოჩეკონ, ამისთვის მარტო ძალისმიერი მეთოდები არ გამოდგებოდა, აუცილებელია სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მეთოდების გააქტიურება.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

◎ კიდევ ერთი მსხვერპლი

## სირიაში 23 წლის თურფალ ბორჩაშვილი დაიღუპა

**სირიაში საომარი მოქმედებების დროს საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დაიღუპა. 23 წლის თურფალ ბორჩაშვილის დაღუპვის შესახებ პანკისის ხეობაში ინფორმაცია გავრცელდა.**

**ადგილობრივების ცნობით, ბორჩაშვილი 6 თვის წინ თურქეთში სამუშაოდ წავიდა და მათთვის უცნობია, როგორ მოხვდა სირიაში.**

**თურფალ ბორჩაშვილი სოფელ ძივახევიდან იყო. ის უკვე საქართველოს მე-4 მოქალაქეა, რომელიც ე.წ „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს ბრძოლის დროს გარდაიცვალა.**

◎ ალიან-ჩალიანი

## საქართველო აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის დამფუძნებელი ქვეყანა გახდა

**ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის სადამფუძნებლო შეთანხმება, რომელსაც საქართველოს მხრიდან ხელი ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა მოაწერა, გუშინ, ქ. პეკინში გაფორმდა.**

**„სადამფუძნებლო შეთანხმების ხელმოწერის მომენტისთვის, აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს 57 დამფუძნებელი წევრი ქვეყანა ჰყავს. საქართველო ბანკის 45-ე დამფუძნებელი ქვეყანაა.**

**აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტს და მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება იქნება: ეკონომიკური განვითარების სტიმულირება, სხვადასხვა წარმოების სექტორებში ინვესტირების გზით აზიაში ინფრასტრუქტურული კავშირების გაუმჯობესება, რეგიონალური პარტნიორობის ხელშეწყობა და სხვა საფინანსო ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობა.**

**აღნიშნულ ბანკში გაწევრიანება საქართველოსთვის არის შესაძლებლობა ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად მოიზიდოს დამატებითი შეღავათიანი ფინანსური რესურსი.**

**ბანკის დამფუძნებლებს შორის არიან რეგიონის შემდეგი ქვეყნები: ავსტრალია, აზერბაიჯანი, ბანგლადეში, ბრუნეი დარუსალამი, კამბოჯა, ჩინეთი, საქართველო, ინდოეთი, ინდონეზია, ირანი, ისრაელი, იორდანია, ყაზახეთი, კორეა, ქუვეითი, ყირგიზეთი, ლაოსი, მალაიზია, მალდივები, მონღოლეთი, მიანმარი, ნეპალი, ახალი ზელანდია, ომანი, პაკისტანი, ფილიპინები, ყატარი, რუსეთი, საუდის არაბეთი, სინგაპური, შრილანკა, ტაჯიკეთი, ტაილანდი, თურქეთი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, უზბეკეთი, ვიეტნამი.**

**წევრები არიან ასევე: ავსტრია, ბრაზილია, დანია, ეგვიპტე, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, ისლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, სამხრეთ აფრიკა, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, გაერთიანებული სამეფო. ბანკის სადამფუძნებლო შეთანხმება 2015 წლის ბოლომდე ღია იქნება კიდევ შვიდი ქვეყნისთვის. ახალი საფინანსო ინსტიტუტის ამოქმედება სწორედ წლის ბოლოსთვის იგეგმება“, — აცხადებენ უწყებაში.**

## თბილისის აეროპორტს რუსთაველის სახელს მიანიჭებენ

**თბილისის საკრებულოს კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დეპუტატებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტისათვის შოთა რუსთაველის სახელის მინიჭებას დადებითი რეკომენდაცია მისცეს.**

**საკითხი დღეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შევა და თბილისის საერთაშორისო აეროპორტისთვის შოთა რუსთაველის სახელის მინიჭებაზე დეპუტატები იმსჯელებენ.**



**განათლებისა და კულტურის, ასევე სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიების გაფართოებულ სხდომაზე ამ საკითხის განხილვამ დეპუტატებს შორის პოლემიკა გამოიწვია. საკითხს მხარი უმრავლესობის დეპუტატებმა დაუჭირეს, ოპოზიციონერ დეპუტატებს კი განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ. სხდომას განათლების კომისიასთან არსებული სათათბიროს წევრებიც ესწრებოდნენ, რომლის შემადგენლობაშიც საზოგადოების წარმომადგენლები შედიან.**

**კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე სევდია უგრეხელიძე თბილისის საერთაშორისო აეროპორტისათვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების ინციატივით გამოვიდა. საქართველოს პირველი პრეზიდენტის სახელის უგულებელყოფას უგრეხელიძე ანტიეროვნულ ქმედებად მიიჩნევს. განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილმა სხდომაზე განაცხადა, რომ რუსთაველი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა და ყველა ქართველს აერთიანებს. მისივე თქმით, აეროპორტის სახელი არ უნდა განსახიერებდეს „გახლეჩილ საქართველოს“.**

**საკრებულოს უმრავლესობის დეპუტატი ია მაკასარაშვილი სევდია უგრეხელიძის განცხადებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ თუკი სურდათ, ზვიად გამსახურდიას სახელი ჰქონოდა თბილისის აეროპორტს, რატომ არ მიანიჭა ნაციონალურმა მოძრაობამ, რომლის დროსაც საკრებულო ამ საკითხზე მსჯელობდა.**

**საბოლოოდ, საკრებულოს კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე ამ საკითხს დადებითი რეკომენდაცია მისცეს და თბილისის საკრებულოს ხვალინდელი სხდომის დღის წესრიგში შეიტანეს.**

ინტერპრესი

# „რუსთავი-2" ისევ გვატყუებს!



გენერალისიმუსი იოსებ სტალინი



საბჭოთა კავშირის მარშალი ლავრენტი ბერია

**„რუსთავი-2"-ის 25 ივნისის 9-საათიანმა „კურიერმა" პირში ისეთი გემო დამიტოვა, თითქოს მთელი საღამო კარის სპილენძის სახელური მეწუწნოს.** გვაცნობეს, ეროვნულ მუზეუმში თემატური გამოფენა „პოლიგონი" გაიხსნა ომში გამარჯვების 70 წლისთავთან დაკავშირებით (მგონი, ასე იყო ფორმულირებული, თუმცა, ამას სულაც არა აქვს არსებითი მნიშვნელობა), სადაც წარმოდგენილია ქართველი მეომრების ნაქონი ნივთები, ჯილდოებიო. მაგალითად, სტალინის ჩიბუხი, კონსტანტინე ლესელიძის მუნდირი და სხვა. აქვე ჩიჩერონემ ვინმე ვახტანგ ცინცაძემ მოგვაწოდა უტყუარი ცნობა, რომ „სტალინსა და ბერიას თუ არ ჩავთვლით, გენერალ-პოლკოვნიკი ლესელიძე ყველაზე მაღალი წოდების ქართველი გენერალი იყო საბჭოთა არმიაში, თანაც ერთადერთიო".

სდექ!

ჩვენ უნდა ვიცოდეთ ჩვენი წარსული. ჩვენ უნდა ვიცნობდეთ ჩვენს გმირებს.

მაგრამ ისეთი ცოდნით, რაც „რუსთავი-2"-მა შემოგვთავაზა, „ვერ გავფრინდებით".

ნუთუ ქართველებს დიდ სამამულო ომში მხოლოდ ერთადერთი გენერალ-პოლკოვნიკი გვყავდა, „თუ სტალინსა და ბერიას არ ჩავთვლით"?

არა, არ არის ასე საქმე!

გენერალ-პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი **კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძე** (სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის გმირი იყო მისი უმცროსი ძმაც — ომში გმირულად დაღუპული ნაღმტყორცნელთა პოლკის მეთაური პოდპოლკოვნიკი ვიქტორ ლესელიძე) მართლაც გამოჩენილი მხედართმთავარი გახლდათ (და ქართველთაგან მართლაც პირველმა მიიღო ეს წოდება — 1943 წ.), მონაწილეობდა თავდაცვით ბრძოლებში მინსკთან, მდინარე ბერეზინასთან, დნეპრთან, ტულასთან, შეტევით ბრძოლებში — მოსკოვთან; იცავდა კავკასიის პლაცდარმებს „მცირე მიწაზე, ნოვოროსიისკთან. მონაწილეობდა ქ.ნოვოროსიისკის, ტამანის ნახევარკუნძულის გათავისუფლებაში, ჟიტომირ-ბერდიჩევის ოპერაციაში. 1941-1942 წლებში სარდლობდა 46-ე და 47-ე არმიებს, ხოლო 1942-1944 წლებში — ცნობილ მე-18 არმიას, სადაც პოლიტმუშაკად მსახურობდა პოლკოვნიკი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, მომავალი სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი. სარდალი ჭრილობებისგან გარდაიცვალა 1944 წ. 21 თებერვალს, 41 წლისა. სიკვდილიდან 27 წლის შემდეგ, 1971 წ. საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. მისი ძეგლი დგას თბილისში, ყოფილ ლესელიძის ქუჩაზე, რომელსაც ეს სახელი რატომღაც, ყოვლად გაუგებრად გადაერქვა ბოლო ხანს.

ახლა „სიახლე" და „მოულოდნელობა": ომში საქართველოს ჰყავდა მეორე მებრძოლი გენერალ-პოლკოვნიკიც — საბჭოთა კავშირის გმირი **პორფილე (პარმენ) გიორგის ძე ჩანჩიბაძე** (1901-1950). ომის დროს მეთაურობდა მოტომსროლელ პოლკს, მსროლელ დივიზიას, გვარდიულ კორპუსს, 1944-1945 წლებში — სარდლობდა მე-2 გვარდიული არმიის ჯარებს. მონაწილეობდა მოსკოვისა და სტალინგრადის ბრძოლებში, ყირიმის, დონბასის, ბელორუსიის გათავისუფლებაში, აღმოსავლეთ პრუსიაზე შეტევით ოპერაციებში. ომის შემდეგ სამეთაურო თანამდებობებზე იყო. დაჯილდოვდა 10 ორდენით, გენერალ-პოლკოვნიკობა მიიღო 1945 წ. სხვათა შორის, თბილისში მისი ბიუსტიც დგას — ყოფილ კინოთეატრ „საქართველოსთან" დავით გურამიშვილის ქუჩაზე.

აბა ჩანჩიბაძისთანა მხედართმთავარი უნდა გამორჩენოდა ნორმალურ ხალხს?

მაგრამ ეს კიდევ არ არის „რეზერვების" ბოლომდე ამოწურვა. იმ დროს კიდევ ერთი გენერალ-პოლკოვნიკი გვყავდა, ოღონდ უშიშროების სამსახურის წარმომადგენელი: **სერგო არსენის ძე გოგლიძე** (1901-1953).

იგი, როგორც იტყვიან, სულით ხორცამდე ჩეკისტი იყო. ეს მასზეა ზედგამოჭრილი „რკინის ფელიქსის" (ძერჟინსკის) სიტყვები: მე დაყენებული ვარ ცეცხლის მოწინავე ხაზზე და ჩემი ნებასურვილია: ვიბრძოლო და თვალი თვალში გავუყარო სახიფათო მდგომარეობის მთელ საშიშროებას და თვითონ ვიყო ულმობელი, რათა, როგორც ერთგულმა მოდარაჯე ძაღლმა გავგლიჯო მტერი".

1917 წლიდან იბრძოდა წითელი არმიის რიგებში ორენბურგში, ბუხარაში, აშხაბადში. სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, 1921 წლიდან ჩეკისტურ სამუშაოზეა, მსახურობდა სსრკ აღმოსავლეთის საზღვრების დაცვაში, შემდეგ — უკრაინაში. 1923 წელს სამშობლოში დაბრუნდა — დაინიშნა ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტსამმართველოს სანაპირო დაცვისა და ჯარების სამმართველოს უფროსად. თანდათან, სწორხაზოვნად ადის სამსახურებრივ კიბეზე — 1934-1938 წლებში ამიერკავკასიის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარია. 1938 წელს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დაწინაურებულმა ლავრენტი ბერიამ მაშინვე თავისთან წაიყვანა მოსკოვში. ჯერ ლენინგრადის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსად დანიშნეს, 1941 წელს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და სკპ (ბ) ცკ-ის რწმუნებულია მოლდავეთის სსრ-ში, 1941-1950 წლებში — სსრ კავშირის შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სახკომის რწმუნებული შორეულ აღმოსავლეთში. 1951 წ.სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილეა, 1951-1952წ.წ. — უზბეკეთის სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, 1951-1953 წ.წ. — სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ჯერ მოადგილე, მერე პირველი მოადგილე, 1945 წ. ივლისში გენერალ-პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა. ბერიას დამხობის უმალ დააპატიმრეს და როგორც საკავშირო მასშტაბის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა, ბერიას" სხვა კაცებთან" ვსევოლდ მერკულოვთან, ვლადიმერ დეკანოზოვთან, ბოგდან (ბაღჩო) ქობულოვთან, პავლე მეშიკსა და ლევ ვლოდიმირსკისთან ერთად დახვრიტეს.

გოგლიძის კარიერა ასე დაწვრილებით იმიტომ წარმოგიდგინეთ, რომ იგი არ ყოფილა ეპოქის შემთხვევითი, ხელწამოსაკრავი პერსონა და სამხედრო წოდებაც შესაფერისი ჰქონდა. ეს ასეა, იმის მიუხედავად, მოგვწონს იგი თუ არა.

ახლა ომისშემდგომი წლების „საგენერალიტეტო მოსავალიც" ვნახოთ.

რაც მთავარია, საბჭოთა კავშირის მარშალ ბერიას გარდა, გვყავდა კიდევ ერთი მარშალი — საინჟინრო ჯარების მარშალი (1977), საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე სამხედრო მშენებლობისა და ჯარების დაბინავების დარგში (1974-1978), ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ომის დროს ძირძირობამდე დანგრეული სევასტოპოლის აღმდგენელი **არჩილ ვიქტორის ძე გელოვანი** (1915-1978).

თბილისში მისი სახელობის პროსპექტი გვაქვს.

დამეთანხმებით, მარშალი ა.გელოვანი სულაც არ არის „რუსთავი-2"-ისგან მოსაძულებელი, „დასაკარგი" კაცი! აქვე სათქმელად: საინჟინრო ჯარების მარშლის წოდება მას პირველს და უკანასკნელ მიენიჭა სსრ კავშირში.

ახლა კვლავ გენერალ-პოლკოვნიკებს მივუბრუნდებით, რაკილა ეს წოდება აქვს ამოჩემებული „რუსთავი-2"-ს.

საბედნიეროდ და სასახელოდ გვყავდა ყველასგან გამორჩეული ინჟინერ-გენერალ-პოლკოვნიკი, გამოჩენილი სამხედრო მეცნიერი, სარაკეტო ჯარების უმსხვილესი სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, როგორც უწოდებდნენ „სარაკეტო ტექნიკის ტვინი", პირველი საბჭოთა ბირთვული ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტა „ტემპის", მრისხანე „სს-20"-ის, „სს-25"-ის, „ტოპოლის" და სხვათა შემქმნელი, საპატიო თბილისელი **ალექსანდრე დავითის ძე ნადირაძე** (1904-1987), რომლის სახელიც ათწლეულების მანძილზე უაღრესად გასაიდუმლოებული იყო.



გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე



საბჭოთა კავშირის საინჟინრო ჯარების მარშალი არჩილ გელოვანი



გენერალ-პოლკოვნიკი პორფილე ჩანჩიბაძე



გენერალ-პოლკოვნიკი ალექსი ინაური

მაგრამ სათქმელი არ ამომიწურავს. გვყავდა კიდევ ორი გენერალ-პოლკოვნიკი, თუ მათგან პირველი ისევ უშიშროების სამსახურს წარმოადგენდა, მეორე დიაღაც „სამწყობრო" გენერალი იყო.

**ალექსი ნიკოლოზის ძე ინაური** (1908-1993) დიდი სამამულო ომის დროს მეთაურობდა კავალერიის დივიზიას, 1949-1953 წ.წ. — გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მექანიზებულ დივიზიას. 1953-1988 წლებში, 34 წლის მანძილზე (ეს უპრეცედენტო შემთხვევაა საბჭოთა ისტორიაში!) უცვლელად ედგა სათავეში საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს. იყო საბჭოთა კავშირის გმირი (1985 წ.), გენერალ-მაიორი გახდა 1944 წელს, გენერალ-პოლკოვნიკი — 1967 წ. ხაზგასასმელია, რომ ამ პერიოდის სუკი, ალბათ, ერთადერთი არაკორუმპირებული დაწესებულება იყო საქართველოში.

ქართველ გენერალ-პოლკოვნიკთა სიიდან ვერა და ვერ ამოვიღებთ **ანატოლი მიხეილის ძე კამკამიძეს** (1936-1999), რომელიც 38 წლის ასაკში დაინიშნა მოტომსროლელი დივიზიის მეთაურად, 1981-1991 წლებში იყო კარპატებისპირეთის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილე, ერთხანს საქართველოს ჯარს სარდლობდა უიმედოდ წაგებულ (არა მისი გამოისობით) აფხაზეთის ომში. გენერალ-პოლკოვნიკის წოდება 1992 წელს მიიღო, დაკრძალულია ლვოვში.

**ასეთია ჩვენი „ერთადერთი გენერალ-პოლკოვნიკის" ამბავი.**

**როცა არ იცი, ეს ერთი ცოდვაა. მაგრამ თუ ცრუობ, საგანგებოდ ამახინჯებ სინამდვილეს, ეს კიდევ უარესი.**

**თუ რამეს ვამბობთ, უნდა ვთქვათ როგორც არის და არა მხოლოდ ის, თუ რა მოგვწონს და გვესიმპათიურება.**

**„რუსთავი-2"-ს კი ეს არ სჩევია!**

**„რუსთავი-2"ისევ გვატყუებს.**

**ოღონდ ვერ გავიგე რატომ, რა მიზანს ისახავს ამით.**

**თუმცა, ერთი რამ აშკარაა: იმიტომ, რომ „კუ და მორიელის" იგავ-არაკისა არ იყოს, ასეთია მისი ჯიში.**

**ალეკო ასლანიშვილი**



გენერალ-პოლკოვნიკი სერგო გოგლიძე



ინჟინერ-გენერალ-პოლკოვნიკი ალექსანდრე ნადირაძე



გენერალ-პოლკოვნიკი ანატოლი კამკამიძე

ეკონომისტები და არა „ეკონბაშები“

# ფინანსურსა და ეკონომიკურ კრიზისებს შორის განსხვავებაა



## აგებს თუ არა პასუხს ეროვნული ბანკი ლარის გაუფასურებაზე?

**ეკონომისტები ამ ბოლო დროს ჩვენი ტოპრესპონდენტები გახდნენ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ქართულ ეკონომიკას სერიოზულად უჭირს. „სამწუხარო ისაა, რომ, თუ თანამედროვე მედიცინა იძლევა სტიმულს, ავადმყოფმა მიმართოს არა ექიმბაშს, არამედ ნამდვილ ექიმს, შედარებით დაბალი პოლიტიკური კულტურის მქონე ქვეყნებისთვის დამახასიათებელია, ეკონომიკური დიაგნოსტიკა და ეკონომიკის წარმართვა ანდოს არა იმდენად პროფესიონალ ეკონომისტებს, რამდენადაც „ეკონომიკის ექიმბაშებს“, ანუ ეკონბაშებს“, — წერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ვლადიმერ პაპავა წიგნის „საქართველოს ეროვნული ვალუტის უსაფრთხოების პრობლემა და თანამედროვე გამოწვევების“ წინასიტყვაობაში.**

მისი, როგორც ეკონომიკის ექსპერტის აზრი (რომელიც, თანამდებობიდან გამომდინარე, ძალიან დააკლდა ქართულ მედია-სივრცეს) ამ წინასიტყვაობაში ერთგვარად ანაზღაურდა. რექტორმა აბსოლუტურად გაიზიარა წიგნის პათოსი უნივერსიტეტის დოქტორანტების **ოთარ ანგურიძის, ირაკლი დოლონაძისა** და **ვახტანგ ჭარაიას** ანალიზი და ლოგიკა. მომავალმა ეკონომისტებმა დაკვეთა სწორედ რექტორისგან მიიღეს. **„ლარის გარშემო არაჯანსაღი ვითარება შეიქმნა. ეკონომიკის ზედმეტი პოლიტიზება მას ვნებს. დღეს პრაქტიკულად ყველა თანხმდება იმაზე, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს... მაგრამ ეს ასე არ არის... უნივერსიტეტის ეკონომისტებს ამაზე თავისი სათქმელი აქვთ. ჩვენი მიზანი იყო, გაგვეანალიზებინა ის, თუ რა მოხდა, და არა ის, თუ ვინ არის დამნაშავე“,** — აღნიშნა ბატონმა ვლადიმერმა წიგნის პრეზენტაციისას, რომელსაც ძალიან საინტერესო აუდიტორია ესწრებოდა. მათ შორის პარლამენტის, მთავრობის წარმომადგენლები, ეკონომისტები, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივი წევრი და ა. შ.

ნაშრომის მიხედვით, ეროვნული ვალუტის გაუფასურების ობიექტურ მიზეზებად განხილულია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სავაჭრო ბალანსის გაუარესება, ფულადი გზავნილების ნაკადის შემცირება, კრიზისი მეზობელ სახელმწიფოებში (უკრაინასა და რუსეთში) და საბაჟო პოლიტიკის ცვლილება სომხეთსა და აზერბაიჯანში. **„იმ მიზეზებს შორის, რომლებიც, ჩვენი აზრით, ვერ მოახდენდა ეროვნული ვალუტის გაუფასურებას, თუმცა, აქტიურად განიხილებოდა საექსპერტო წრეებში, შესაძლოა, გამოვყოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადი და შემოსავლები ტურიზმიდან“,** — მიაჩნიათ ახალგაზრდა ეკონომისტებს. ამასთან, მათი თქმით, მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ მეტი ყურადღება დაუთმოს ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობას და ეკონომიკის რეალური სექტორის გააქტიურებას. წიგნში ეროვნული ვალუტის თანამედროვე გამოწვევებზე საუბრისას, უმეტესი წილი ეროვნული ბანკის ქმედებას ეთმობა და ავტორები ძირითად აქცენტს სწორედ ცენტრალურ ბანკზე აკეთებენ. ისინი საქართველოს ორგანულ კანონში შესატან ცვლილებებზე, სავალუტო რეზერვებზე, ბანკის პასუხისმგებლობაზე და საზოგადოებასთან მეტ კომუნიკაციაზე საკმაოდ მოცულობით ანალიზს აკეთებს. **„ეროვნული ბანკის საბჭო დაკომპლექტებული უნდა იყოს მაღალკვალიფიციური ეკონომისტებით, რაც უნდა ჩაიწეროს ორგანულ კანონში“,** — ასეთი მკვეთრია დოქტორანტების პოზიცია.

აგებს თუ არა ეროვნული ბანკი პასუხს ლარის გაუფასურებაზე? — რა თქმა უნდა, აგებს, იყო პასუხი „ვარდების რევოლუციამდე“, თუმცა, მას შემდეგ, რაც ორგანული კანონის დებულებიდან ეს პრინციპი ამოიღეს, მივიღეთ ის, რაც გვაქვს, ამბობენ სპეციალისტები.

იქ დამსწრე პროფესიონალი ეკონომისტების მხრიდან გაისმა კრიტიკა სავალუტო ფონდის მისამართითაც, რომელიც დღესაც არ უჭერს მხარს, რომ ეროვნულმა ბანკმა განახორციელოს ინტერვენციები და მასშტაბურად „გამოყაროს“ დოლარი გასაყიდად. **„სავალუტო ფონდი არც ბიბლიაა და არც ყურანი... შეიძლება ჩვენი ქვეყნის პრობლემები სულაც არ დაემთხვეს მის მიზნებსა და მიდგომებს“,** — აღნიშნეს ექსპერტებმა.

„ინვესტიცია საშუალება არ არის, ეს იქნებოდა მხოლოდ პრობლემის გადავადება“, — მიაჩნია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მრჩეველს **გიორგი ბაქრაძეს,** რომელიც სავალუტო ფონდის რჩევებს აბსოლუტურად ეთანხმება. წიგნის ავტორებისგან განსხვავებით ამბობს, რომ ლარის გასამყარებლად საუკეთესო გზა არის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. რაც შეეხება ბანკის მანდატის შეცვლას, ის არ იქნება პროდუქტიული, რადგან ფინანსური სისტემა, ჯერჯერობით, გამართულად მუშაობს, — აღნიშნა ბაქრაძემ.

**„ჩვენთან არის არა ეკონომიკური კრიზისი, არამედ ფინანსური კრიზისის სავალუტო სახეობა,** — ამბობს ექსპერტი მერაბ კაკულია, რომელმაც ათწლეულზე მეტი ეროვნული ბანკის საბჭოში გაატარა, — **მე რომ დღეს იქ ვმუშაობდე, ალბათ, მოვითხოვდი რეფინანსირების სესხების 15 პროცენტამდე დაწევას და მეტ-ნაკლებად გავანეიტრალებდი ვითარებას. ჩვენ ჯერაც ვერ ვისწავლეთ ჭკუა, განსაკუთრებით ბოლო 10 წლის განმავლობაში გავაძლიერეთ ჩვენი ეკონომიკის მომხმარებლური ხასიათი. რის ხარჯზე ფინანსდებოდა ეს? — რა თქმა უნდა, ვალების. ამ წელს 740 მილიონი დოლარის ვალის გადახდა მარტო კერძო სექტორს მოუწევს... ბუნებრივია, ამ ვალების სიმძიმეს ქვეყანა ვერ უმკლავდება.**

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მრჩეველი გამოცდილი ეკონომისტის რჩევას არ ითვალისწინებს: საპროცენტო განაკვეთის დაწევა ვერ გვიშველიდა. თუ ბანკებს ბევრ ფულს მივცემდით, მივაღწევდით ერთადერთს — კომერციული ბანკები მიიღებდნენ ზედმეტ ლიკვიდურობას. სამაგიეროდ, პროცესი შეანელებდა ეკონომიკურ ზრდას, რაც ისედაც ფაქტია.

რაც შეეხება საგარეო ვალებს, წიგნის ავტორები ერთ-ერთ რეკომენდაციაში წერენ: **„ფინანსთა სამინისტრომ 2012 წლის შემდეგ უარი თქვა საგარეო ვალის ზრდაზე (რომელსაც ის უცხოურ ვალუტაში იღებდა). თუმცა, თავის მხრივ, დაიწყო შიგა ვალის ზრდა (ეროვნულ ვალუტაში). მიგვაჩნია, რომ სამინისტრომ უნდა გადახედოს სავალო პოლიტიკას, რადგანაც ეროვნულ ვალუტაზე მისი მხრიდან მაღალი მოთხოვნა უბიძგებს ეროვნულ ბანკს, მიაწოდოს ბანკებს დამატებითი ლარის მასა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეროვნული ვალუტის გაუფასურებას“.**

**თეა მოსია**

დედაქალაქი

# ავტომანქანა ვერეს გვირაბში

**გასულ კვირადღეს სამაშველო სამსახურის თანამშრომლები, წინა დღეების დარად, კვლავ ინტენსიურად განაგრძობდნენ 13 ივნისის სტიქიის შემოტევის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებს.**

მდინარე ვერესა და მტკვრის შესართავთან დიდძალი ამწე და გამწმენდი ტექნიკა დილიდანვე იყო მობილიზებული. გვირაბში, რომელშიც დღესდღეობით ვერეს წყალი მტკვარში ჩადინებამდე გადის, როგორც წინა დღეებში ჩატარებული გაწმენდითი სამუშაოების დროს გახდა ცნობილი, ბმვ-ს მარკის ავტომანქანა იყო ჩახერგილი, საბედნიეროდ, უმგზავრებოდ. ჯართად ქცეული ავტომანქანის ამოსათრევად, რომელიც სათავიდან ორ ასეულ მეტრზე მეტი მანძილით იყო ჩახერგილი, პატარა ექსკავატორი ჩავიდა. სადამდეც შესაძლებელი იყო მისვლა, ტექნიკა იქამდე კი მივიდა, მაგრამ შემდეგ მანქანის გამოსათრევად გვარლის ჩაბმა გახდა საჭირო. იმის მიუხედავად, რომ დალეწილი ავტომანქანა ზოოპარკის ტერიტორიასთან უფრო ახლოს იმყოფებოდა, მისი ვერეს მტკვართან შესართავის მხარეს გამოტანა უფრო მოსახერხებელი აღმოჩნდა. მანქანას ერთი დიდი ხეც მოაყოლეს მაშველებმა, რომელიც წყლის თავისუფალ დინებას ხელს უშლიდა.

ამ დღეებში გაწმენდითი სამუშაოები კომპაქტური ტექნიკური საშუალებებით კვლავ გრძელდება გმირთა მოედანზე, ცირკის მიმდებარე მიწისქვეშა გასასვლელში, ხელით წმენდენ რესტორან „მატრიოშკას“, რომელიც შევარდნილმა წყალმა თითქმის მთლიანად მოსპო. მის თანამშრმოელთა თქმით, წყალს რომ არ წაელო, ისინი შენობის სახურავზე გადავიდნენ და თავი ცირკის მთის ფერდობს შეაფარეს.

თბილისის მერიის დასუფთავების სამსახური მაშველებთან ერთად სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებს განაგრძობს.

**დალი ხუნდაძე,**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო**





გიხაროდეს!



# ნაციონალები კიდევ ერთ ფრაქციას ქმნიან

**რიგგარეშე სხდომების დასრულებამდე, პარლამენტში შესაძლოა, ახალი ფრაქციის ფორმირება მოხდეს. ეს „ლიბერალ-დემოკრატების“ ფრაქცია იქნება , რომელშიც ნაციონალური მოძრაობიდან გასული ოთხი დეპუტატი და ნაციონალურ მოძრაობასთან კიდევ უფრო ადრე გამიჯნული მაჟორიტარები გაერთიანდებიან. პარლამენტში არსებული ინფორმაციით, ახალი ფრაქციის შექმნაზე მუშაობა დაწყებულია და მის შემადგენლობაში შევლენ: პავლე კუბლაშვილი, ზურაბ ჯაფარიძე, გიორგი მელაძე, გოგა ხაჩიძე, ასევე კახა ოქრიაშვილი და ენზელ მკოიანი, რომლებიც ამჟამად ფრაქციით — „უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარები“, უმრავლესობაში შედიან. როგორც პარლამენტში ითქვა, მოლაპარაკების პროცესი სხვა ყოფილ „ნაციონალ“ მაჟორიატრებთანაც მიმდინარეობს და არ არის გამორიცხული, ახალი ფრაქციაში ექვზე მეტი წევრი იყოს.**

**საპარლამენტო ფრაქციის ფორმატში დაწყებული თანამშრომლობა პოლიტიკური პარტიის დაფუძნებით გაგრძელდება, რაც უკვე საშემოდგომოდ იგეგმება. პარლამენტში ისიც ითქვა, რომ ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წარმომადგენლების გვერდით შესაძლოა ვიხილოთ ბიზნესმენი ცეზარ ჩოჩელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კახა ოქრიაშვილი იმ მაჟორიტარებს შორისაა, რომელიც მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის მიმართულებით დაგეგმილ ცვლილებებს მხარს არ უჭერს და კრიტიკას ღიად გამოხატავს. მოსალოდნელია, რომ მმართველი უმრავლესობა და ცალკეული მაჟორიტარები სწორედ მაჟორიტარულ სისტემასთან დაკავშირებით ერთიან პოზიციაზე ჩამოყალიბებას ვერ შეძლებენ, რაც არჩევნების წინ მათი გამიჯვნის მიზეზი იქნება.**



# ილია ჭავჭავაძიდან თანამედროვე უღირსებო და უეროვნებო ჩინოვნიკებამდე!

> **პირდაპირ თავს გვაჭამენ მოპოლიტიკოსო არსებები, თავი კაცები რომ ჰგონიათ, და ქვეყანას „მართავენ“, პარტიებს ქმნიან და ეს საქმე ბიზნესად უქცევიათ. არც ეროვნულად მოაზროვნე და არც ღირსებაშენარჩუნებული პიროვნებები ქართულ პოლიტიკაში თითქმის აღარ მეგულება. ხოლო, აქ მოხვედრილი ნებისმიერი წესიერი კაცი, სულ მალე უწესო ხდება.**

**ქართული ისტორიული მეხსიერებიდან და დღევანდელი სინამდვილიდან, რა ღირებულებითი წანამძღვრებია საძიებელი, რაც მომავალში ქვეყნის წარმატების საფუძველი იქნება?! ერთად ვიფიქროთ! (ფიქრიც ღირებულებაა — პროდუქტს ქმნის)!**

**ევროკავშირში ასოციირება და თავად ევროკავშირი, აბსოლუტურ ღირებულებას არ წარმოადგენს, რომ საყოველთაო ბედნიერება თავისთავად მოგვიტანოს. ევროპულ ასპარეზზე ჩვენი წარმატება, მატერიალურ ფასეულობებთან შედარებით, უპირატესად არამატერიალური კატეგორიებით მიიღწევა, კერძოდ — სოლიდარული, ტოლერანტული საზოგადოების შექმნით, მაღალი პასუხისმგებლობით, ეროვნული მეხსიერების შენარჩუნებით და მისი უწყვეტობის განცდით, და როგორც შედეგი — ქართველთა საუკეთესო „შინაგან“ ფასეულობათა აღორძინებით და ქართული სახელმწიფოს ახალი თაობის მშენებელთა შექმნით.**

**ე.ი. ჩვენი მოლოდინი თუ აქტიურობა მხოლოდ პოლიტიკური, ეკონომიკური, ან სოციალური პრობლემატიკით არ უნდა შემოიფარგლოს. ღირებულებათა არჩევანში, მთავარი ღირებულებები (შესაძლებლობები) უნდა ვეძებოთ. მათ შორისაა: ფიქრი უკეთეს მომავალზე, თავისუფალ ქვეყანაზე; ძალისხმევა და ორიენტაცია საზოგადო სიკეთეებზე, მოქალაქეთა ღირსეულ სიცოცხლეზე; ზრუნვა მომავალ თაობათა მენტალურ და მორალურ სიჯანსაღეზე — ესაა ადამიანური ყოფის ძირითადი ღირებულებები ნებისმიერ ეპოქაში, ნებისმიერ საერთაშორისო კავშირში თუ გეოპოლიტიკურ არჩევანში.**

**ჩვენი წინაპრები უახლესი ისტორიიდან, შეზღუდული შესაძლებლობების პირობებშიც კი, სწორედ ამ კატეგორიებით ხელმძღვანელობდნენ და ასე ქმნიდნენ საქართველოს ისტორიას.**

**აღნიშნულის საილუსტრაციოდ, ეკონომიკის ერთ-ერთ სფეროში — საქართველოში საბანკო-საფინანსო საქმის სათავეებთან გეპატიჟებით...**

საქართველოში საბანკო-საფინანსო სისტემის საფუძვლების შექმნა ილია ჭავჭავაძისა და დიმიტრი ყიფიანის ეპოქას, მათ სახელს უკავშირდება. XIX საუკუნის მეორე ნახევარი ის გამონაკლისი პერიოდი იყო, როცა დამოუკიდებლობადაკარგულ საქართველოში, საკუთარი ფულის ნიშნების არარსებობის პირობებშიც კი, პირველი ქართული ბანკი მრავალი წლის განმავლობაში ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის ეკონომიკურ (და ზნეობრივ) საფუძვლებს ქმნიდა.

ეს მოვლენა იმდროინდელი პრესისა და საზოგადოების არაჩვეულებრივ ინტერესს იწვევდა. საზოგადოება ორ ბანაკად იყო გაყოფილი. სხვადასხვა ეტაპზე დაპირისპირებულები აღმოჩნდნენ საზოგადო თანამოაზრენიც - ილია და აკაკი წერეთელი, ილია და ივანე მაჩაბელი, მათი მხარდამჭერები და მოწინააღმდეგეები. აზრთა ურთიერთგაზიარება და იდეათა ბრძოლა „ბანკობიადას“ სახელით მოინათლა.

ფეოდალური არისტოკრატია საადგილმამულო ბანკის იდეის დასამარებას ცდილობდა, თერგდალეულები კი მხურვალედ იცავდნენ ამ იდეას. 1864 წელს ჩასახულ იდეას 11 წელი დასჭირდა, რომ საქმედ ქცეულიყო.

**იდეა საზოგადოებრივი (სააქციო) ბანკის შექმნას ითვალისწინებდა, რათა მოსახლეობის ყველა კატეგორიას, მათ შორის გლეხებსაც, ჰქონოდა კრედიტის გახსნის შესაძლებლობა. ბანკი დემოკრატიულ პრინციპებზე ორგანიზებული, მოგებაზე ორიენტირებული და ამ მოგებით საერთო-საზოგადოებრივი განვითარების ხელშემწყობი არასახელმწიფო, კომერციული დაწესებულება უნდა ყოფილიყო.**

შევადაროთ ეს მისია დღევანდელ ქართველ ბანკირთა (მთლიანად, ქართული საბანკო სისტემის) მომხვეჭელურ, მტაცებლურ, ადამიანთა უბედურებაზე დაფუძნებულ და უსაზღვრო გამდიდრებაზე ორიენტირებულ საქმიანობის წესს. თუმცა, ჯობს, ისევ წარსულს დავუბრუნდეთ...

დიმიტრი ყიფიანის ოპტიმიზმი და ენთუზიაზმი უსაზღვრო იყო. მან საგანგებოდ შეისწავლა იმპერიის სხვა კერძო ბანკების წესდებათა საფუძვლები, რუსული და უცხოური ლიტერატურა და ჩამოაყალიბა „ქართული“ ბანკის ძირითადი დებულებები, რაც ადგილობრივ თავისებურებებს და ინტერესებს მიესადაგებოდა.

შემდგომ, 1870 წლიდან, გააქტიურდნენ ქართველი სამოციანელები. მათი მიზანი იყო ქართული საადგილმამულო ბანკი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამსახურში ჩაეყენებინათ და ამ საქმისათვის ილია ჭავჭავაძეს ეხელმძღვანელა.

ილიამ ახალი წესდების შედგენა ითავა და მიზნის მისაღწევად დაუნდობელი ომი წამოიწყო. ბროკჰაუზ-ეფრონის რუსული ენციკლოპედიური ლექსიკონისთვის შედგენილ ავტობიოგრაფიაში იგი წერს: **„ბევრი ყოყმანისა და მერყეობის შემდეგ, თუ რაგვარი საკრედიტო დაწესებულება დავაარსოთ, თავადაზნაურობამ გადასწყვიტა, ჩემის რჩევისამებრ, დაარსება საადგილმამულო ბანკისა და აირჩია კომისია, რომლის ერთ-ერთ წევრად მეც დამნიშნა წესდების შემდგენლად“** (ი. ჭავჭავაძე, ტ. 10, გვ. 311).

წესდება შემუშავდა, საჭირო იყო მისი დამტკიცება ფინანსთა სამინისტროში და მეორე — საგარეო ბრძოლის მოგება. **„...იმისთანა კაცნი, რომელნიცა ზნეობრივად ისე გაქსუებულან თავისის სიკეთისა და პირადის ბედნიერების უკან დევნაში, რომ ყოველ ზრუნვას საყოველთაო კეთილისათვის უსაქმო კაცის ოცნებათა სთვლიან... რომელნიცა მუდამ ტრიალებენ ვიწრო სფეროში, არასოდეს აღწეულან თავისი პირადი სარგებლობის უმაღლეს და არ გამთბარან საზოგადოების სიკეთის სიყვარულითა...“** (ილიას სიტყვა, გაზ. „დროება“, 1872 წ., ტ 47). საზოგადო სიკეთის დამკვიდრება, თავის მხრივ, საფუძველი უნდა ყოფილიყო, რომ შემდგომ აღარ ყოფილიყვნენ „ასეთი კაცნი“.

აქ, კიდევ ერთხელ შევჩერდეთ, და დღევანდელი პარლამენტარები და „ასეთი კაცნი“ გავიხსენოთ, ვისაც ქართველმა ამომრჩეველმა, სანუგეშოდ და საიმედოდ, უკვე მერამდენედ, ხმა მისცა არჩევნებში, რათა ეს „რჩეულნი“ ამაღლებულიყვნენ „თავისი პირადი სარგებლობის უმაღლეს“ და გამთბარიყვნენ „საზოგადოების სიკეთის სიყვარულით“.

ამისათვის კი ეს ე.წ. „რჩეულნი“, უბრალოდ, ზნეობრივი კაცები უნდა იყვნენ და არა უზნეონი. აქაც, ძვირფასო მკითხველო, დიდხანს ნუ დავყოვნდებით და ისევ სამაგალითო წარსულს და ამ მხრივ, მართლაც საამაყო კაცებს დავუბრუნდეთ, ვინც ჩვენს საამაყო ისტორიას ქმნიდა...

პროექტი დასამტკიცებლად პეტერბურგში გაიგზავნა. პროცესის დასაჩქარებლად და საბანკო საქმის შესასწავლად, 1873 წელს ილია სახელმწიფო სამსახურიდან გადადგა და რუსეთში გაემგზავრა. ბოლოს, როგორც იქნა, 1874 წლის 28 მაისს დამტკიცდა თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წესდება, რომელიც გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა. ასე დასრულდა პირველი ქართული ბანკის დაარსების მრავალწლიანი, პერიპეტიებით აღსავსე ეპოპეა. 1876 წლის 1 მაისს გაიხსნა ქუთაისის საადგილმამულო ბანკიც.

ილია ჭავჭავაძის საბანკო მოღვაწეობის ცნობილი მკვლევარი იოველ ასათიანი, ძალზე საინტერესო, ზოგ შემთხვევაში კი უნიკალურ ინფორმაციას გვაწვდის. **ბანკის დაარსების ასეთი ფართო შინაარსის ფორმულა და დემოკრატიული პრინციპები რუსეთის იმპერიის პრაქტიკაში იმ დროს არ არსებობდა: დამფუძნებელთა მემკვიდრეები ცალ-ცალკე ღებულობდნენ წევრი დამფუძნებლის უფლებას; ამ უფლებით, სრულწლოვან შვილებს მშობლების სიცოცხლეშიც შეეძლოთ ესარგებლათ; დამფუძნებელ წევრებად, ყველა მათი უფლებით, შეეძლოთ ყოფილიყვნენ ქალებიც. აღნიშნული პრინციპები წლების განმავლობაში წევრ დამფუძნებელთა რიცხოვნობის მუდმივ ზრდას უზრუნველყოფდა.**

მოგვიანებით, სპეციალურად თბილისის საადგილმამულო ბანკისთვის, აიგო მონუმენტური შენობა. მისი მშენებლობა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით 1902 წელს დაიწყო და 1913 წელს დამთავრდა. ამჟამად, იქ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკაა განთავსებული.

XX საუკუნის დასაწყისი მთელ ევროპასა და რუსეთში ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისით ხასიათდება. საბანკო-საკრედიტო საქმიანობა საქართველოშიც საკმაოდ გართულდა. ილიას მოჰყავს მაგალითები ბესარაბიის, პეტერბურგ-ტულის, დონის, ვილენის ბანკების წარუმატებელი საქმიანობისა და კრიზისის შესახებ, რაც ასევე მამულების ბანკებში დატოვებით არის გამოწვეული.

მაგრამ, „ზოგიერთ კაცთა“ სუბიექტური მოტივები, როგორც საბაბი, ყოველთვის პოულობს გასაქანს კრიტიკულ სიტუაციებში, თუნდაც პრობლემის მიზეზი სრულიად ნათელი და ცხადი ობიექტური ფაქტორები იყოს. ადამიანთა განწყობის ეს საყოველთაო ფსიქოლოგიური მოტივაცია, ზედმიწევნით (და მრავალჯერ) აისახა როგორც თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის ცხოვრებაში, ისე მთლიანად, საქართველოს უახლეს თუ თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ილია ჭავჭავაძის მოტივები საყოველთაო კრიზისის შესახებ საბანკო საბჭოს კრებამ არ გაიზიარა. შედეგად, ბანკის გამგეობის თავმჯდომარის რეაქცია რადიკალური და მოულოდნელი იყო. მან გააკეთა განცხადება გადადგომის შესახებ, მადლობა მოახსენა კოლეგებს თანამშრომლობისთვის, დაემშვიდობა დარბაზს და დატოვა სხდომა. საბაბი, ალბათ, აქაც ფორმალური იყო.

ამგვარად, დასრულდა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა საბანკო სფეროში, რომელიც მთელი 30 წელი გრძელდებოდა — 1875-1905 წ.წ.

ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებათა ნუსხა, რომელთა რეალიზაციისთვის ფინანსური მხარდაჭერა უშუალოდ უკავშირდება თბილისის საადგილმამულო ბანკს, საკმაოდ ფართოა.

ამ ნუსხაში გამოსაყოფია:

**1. ბანკის მოღვაწეობა განათლების სფეროსა და ეროვნული კადრების მომზადების მხარდასაჭერად, რაც მეფის მთავრობის რუსიფიკატორულ პოლიტიკას უნდა დაპირისპირებოდა.**

**2. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება და ორგანიზაციულად ჩამოყალიბება, რაც ბანკის მხარდაჭერის ერთ-ერთ პრიორიტეტად განიხილებოდა.**

**3. კახეთის რკინიგზის მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების წამოწყება და ფინანსურ-იდეოლოგიური უზრუნველყოფა.**

**4. ქართული თეატრის განვითარებისთვის ზრუნვა, რაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საწვრთნელ სკოლად განიხილებოდა.**

საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში თითქმის არ დარჩენილა სფერო, სადაც ქართულ საადგილმამულო ბანკს თავისი მიზანდასახული პოლიტიკა არ გაეტარებინა. ბანკი, საერთო სარგებლობის, სასოფლო-სამეურნეო და ექსტრაორდინარული ფონდებიდან აფინანსებდა სასწავლო დაწესებულებებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებს და გაზეთებს, საეკლესიო დაწესებულებებს, სტიქიით დაზარალებულებს, კერძო პირებს და ა.შ. სულ 1875-1909 წ.წ. ბანკს საზოგადო საჭიროებისათვის გაუღია 1944 136 მანეთი და 38 კაპ.

იმ პერიოდში, ქართული ბანკების საქმიანობის მთელ ისტორიას, ლაიტმოტივად გასდევდა ფიქრი, ზრუნვა და განსჯა მომავალზე, ახალ საქართველოზე. პრაქტიკულად, ბანკი საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ფუნქციას ითავსებდა!!!

მკითხველო, ძალიან მინდა, ის არაფორმალური „პარლამენტი“ და „მთავრობა“, სულისკვეთებით, დღევანდელს — ლეგიტიმურ, ფორმალურ ხელისუფლებას შევადარო, მაგრამ ვერ ვახერხებ. ახალი თაობის „მამულიშვილთა“ ძიებაში ხელს მიშლის დღევანდელი რეალობა — სულიერებისგან და ეროვნულობისგან დაცლილი, ხელისუფლების ამქარს მიტმასნილი სუბიექტების დაუოკებელი ამბიციები, მედროვე ჩინოვნიკური სული და მათი მომხვეჭელური ბუნება!!!...

აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის სიტყვა თბილისის საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე 1895 წლის 20 მაისს. ეს სიტყვა ილიას შემოქმედების ყველა კლასიკურ გამოცემაშია შეტანილი.

ამ გამოსვლაში ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი საბანკო თემაზე. აქ ორატორის აზრი სცილდება საბანკო საქმის არსს და მოგების ხიბლს. ის საქართველოს ექვსსაუკუნოვანი დანაწევრების ტკივილით და გამთლიანების მოწოდებითაა გაჯერებული, რაც, ორატორის სულ 3-წუთიან გამოსვლაში ჩაეტია (იხ. სიტყვა: ი. ჭავჭავაძე, ტ.4., გვ. 437).

დაბოლოს, მინდა ვთქვა, რომ ამ თემაზე დიდი სიამოვნებით ვმუშაობდი. ზნეობის გაკვეთილებივითაა აქ მოყვანილი ფაქტები. ბანკის დაფუძნების იდეა და საქმე, ერთი დიდი პოემასავითაა — ადამიანთა სიყვარულის, მათზე ზრუნვის პოემა... ამას ღირსეული კაცები აკეთებდნენ, უბრალოდ, უხმაუროდ, და ყოველივეს ჩვეულებრივ, კაცურ მოვალეობად თვლიდნენ.

ახლა?

პირდაპირ თავს გვაჭამენ მოპოლიტიკოსო არსებები, თავი კაცები რომ ჰგონიათ და ქვეყანას „მართავენ“, პარტიებს ქმნიან და ეს საქმე ბიზნესად უქცევიათ. არც ეროვნულად მოაზროვნე და არც ღირსებაშენარჩუნებული პიროვნებები ქართულ პოლიტიკაში თითქმის აღარ მეგულება. ხოლო, აქ მოხვედრილი ნებისმიერი წესიერი კაცი, სულ მალე უწესო ხდება.

მკითხველო — ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, ჩაიბარე ქვეყანა და... გააგრძელე საქართველოს ღირსეული ისტორია!

**ნუკრი მიხანაშვილი**

# განსაცდელთა ემბაზში განბანილები

„საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი...“

ჯანსუღ ჩარკვიანი

**მეტად ამაღლებული და ამაღელვებელი ვითარება სუფევდა 25 ივნისს თბილისში, ჭავჭავაძის პროსპექტის №13-ში განთავსებულ ქართველ ემიგრანტთა მუზეუმში, სადაც ქართველ ემიგრანტთა დღე უკვე მესამედ აღინიშნა.**

ამ საზეიმო თავყრილობას დიდძალი გამორჩეული საზოგადოება დაესწრო, რომელსაც განსაკუთრებული ხიბლი ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები, შესანიშნავი მხატვრის, ჩვენი თანამემამულის ქალბატონ **ცისანა ჯანაშვილის** ფერწერულ ნამუშევართა ვერნისაჟმა დაამშვენა.



ქალბატონი სოფიკო ჯერვალიძე

**— რატომაა დადგენილი ქართველ ემიგრანტთა დღედ მაინცდამაინც 25 ივნისი?** — ამ კითხვაზე პასუხი კარგა ხანია მაინტერესებდა, ამიტომაც სწორედ ამით დავიწყე საუბარი ქალბატონ ცისანა ჯანაშვილის ნამუშევართა გამოფენის ერთ-ერთ ორგანიზატორთან, ქართული ემიგრაციის მკვლევართან, ჟურნალისტ **სოფიკო ჯერვალიძესთან**.

— ორი წლის წინათ, 23 ივნისს, ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები, ქართველი ემიგრანტის ბატონი **პეტრე ხვედელიძის** დაბადებიდან 95 წლისთავი აღვნიშნეთ. ბატონი პეტრე ქართული ემიგრაციის უხუცესი, არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, რომელმაც ხიდი გადო ემიგრანტთა და საქართველოს შორის, — თქვა ქალბატონმა სოფიკომ. — „თუ ქართველი ხარ, სადაც გინდა იყო, ყველგან შეგიძლია ქართული საქმის კეთება“, ნათქვამი აქვს ბატონ პეტრეს. იგი სამშობლოს ერთგულებით, სიყვარულით თხემით ტერფამდე აღსავსე კაცი იყო, რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებდა ქართული ემიგრაციის სახლის ასაშენებლად. ბატონი პეტრე ფრანგული და ამერიკული ემიგრაციის მემატიანე, მეცენატი, დიდებული მამულიშვილი, 18 წლის მანძილზე რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ ცნობილი წამყვანი გახლდათ. იგი უაღრესად თავმდაბალი, მორიდებული კაცი იყო და ძალიან იუხერხულა, როცა მის დაბადების დღესთან დაკავშირებით ჩვენ რაღაც საზეიმო ღონისძიების მოწყობა გადავწყვიტეთ, რომელსაც შემდგომ სისტემურ ხასიათს მივცემდით. ასე დაფუძნდა ქართველ ემიგრანტთა დღე, რომელსაც წლეულს უკვე მესამედ აღვნიშნავთ. ბატონი პეტრე ხვედელიძე კი, სამწუხაროდ, შარშან გარდაიცვალა, მისი ცხედარი ამერიკის შეერთებული შტატებიდან თბილისში გადმოვასვენეთ, იგი დიდუბის პანთეონში განისვენებს. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ბატონმა პეტრე ხვედელიძემ თავისი არქივი ჩემს დას, ჟურნალისტ ციცინო ჯერვალიძეს გადასცა.

როცა ორი წლის წინათ ბატონ პეტრეს 95 წლისთავს აღვნიშნავდით, მან მითხრა: საქართველოდან ემიგრირებულნი სხვებიც მრავლად არიან, ვისაც დიდი დამსახურება აქვს, ამდენად ემიგრანტთა დღის ჩემს დაბადებასთან დაკავშირება უხერხულიაო. ამ ღირსეული ადამიანების იუბილეებსაც აუცილებლად აღვნიშნავთ-მეთქი, დავპირდი. ჰოდა, წელს სწორედ ორ ასეთ დიდებულ პიროვნებას, ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელს ბატონ **მამია ზაქრაძესა** და ბატონ **ნიკო თოფურიას** 95 წელი შეუსრულდათ. ამ ორმა უკეთილშობილესმა პიროვნებამ სამშობლოსთვის ბევრი ილვაწა, ამერიკაში გადახვეწილებს ჭეშმარიტად ქართული სულისკვეთება შერჩათ.

როცა ქართველ ემიგრანტთა დღის აღსანიშნავი ღონისძიებისადმი ვემზადებოდით, კარგა ხან ვფიქრობდით, თუ როგორ უნდა მიგველოცა იუბილართათვის დაბადების დღე და ბოლოს ეს სიტყვებიც მოვიდა: „განსაცდელთა ემბაზში განბანილები“: ქალბატონი **ცისანა ჯანაშვილი** კი, რომელიც თავისი წარსულით, სულიერად საქართველოსთან მკვიდრადაა დაკავშირებული, შარშან შემოდგომაზე 60 წლისა გახდა, ამიტომაც გადავწყვიტეთ ეს სამი შესანიშნავი თარიღი ერთგვარად გაგვეერთიანებინა, ქართველ ემიგრანტთა დღისთვის დაგვემთხვია, აღგვენიშნა და ქალბატონ ცისანას ნამუშევართა გამოფენით დაგვემშვენებინა.

შარშან, როცა ქართველ და ებრაელ ხალხთა მეგობრობის 26-საუკუნოვანი იუბილე თბილისში საზეიმოდ აღინიშნა, 25 ივნისს ქართველ ემიგრანტთა მუზეუმში ქართველი ებრაელი მხატვრის ცისანა ჯანაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გავმართეთ, რითაც ამ ძმური სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის ისტორიაში ჩვენი მოკრძალებული წვლილი გვინდოდა შეგვეტანა.

წლეულს მაისში კი, როცა ჩვენს დედაქალაქში ქართული ემიგრაციის დიდი საერთაშორისო ფორუმი გაიმართა, უცხოეთში მცხოვრებ და მოღვაწე ჩვენს თანამემამულე შემოქმედთა ჯგუფური გამოფენის ექსპონატებს შორის ქალბატონ ცისანას ნამუშევრებიც იყო წარმოდგენილი. — ასეთი გახლდათ ქალბატონ სოფიკო ჯერვალიძის ექსკლუზიური ინტერვიუს შინაარსი.

ქალბატონ ცისანა ჯანაშვილის მხატვრულ შემოქმედებას მანამდე ძირითად რეპროდუქციებით ვიცნობდი და მისი დიდი თაყვანისმცემელი გახლავართ, მაგრამ ორიგინალების ხილვამ შეუდარებლად ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. გამოფენაზე დაახლოებით სამ ათეულამდე ზეთის საღებავით შესრულებული პორტრეტი, ასევე რამდენიმე სტენდი ბიბლიოგრაფიული მასალაა წარმოდგენილი.

ქალბატონი ცისანა მრავალმხრივი შემოქმედია, თუმცა კი მისი ჭეშმარიტი სტიქია მხატვრული, ხშირად ალეგორიებით, შინაგანი მძაფრი ექსპრესიით გაჯერებული წიაღსვლებით დამაფიქრებელი, ერთგვარი მისტიკური შარვანდედით მოცული და, ამავდროულად, მხატვრის თვალთახედვით რეალისტური პორტრეტებია. წლების მანძილზე მან თამარ მეფის, ბიბლიური აბრაამის, ფიროსმანის, გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, თინათინ მღვდლიაშვილის, ზვიად გამსახურდიას, ნატო ვაჩნაძის, უშანგი ჩხეიძის, აკაკი ხორავა, ანა ახმატოვას, ბაირონის, რემბრანდტის, კარლ ბრიულოვის, შარლოტა სოლომონის, ჯუმბერ ლეჟავას, პეტრე ხვედელიძის, სხვათა უაღრესად მეტყველი სახეები შექმნა. განსაკუთრებული ყურადღება მაინც მისმა „ავტოპორტრეტმა“ და არაჩვეულებრივად მეტყველმა „ნოსტალგიამ“ მიიპყრო, რა გრძნობაც გამოფენის დარბაზში თითქოს ხელით შესახებიც კი იყო — ისეთი მძაფრი იყო ქალბატონ ცისანას ძმის, მომღერალ **დავით ჯანაშვილის** შესრულებით უკვდავი „სულიკო“, რომელიც ამ მშვენიერ სანახაობას ფონად ჰქონდა.

ქართველ ემიგრანტთა დღის აღსანიშნავად შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს დიასპორის საკითხებში მინისტრის მოადგილემ **სანდრო ბრეგაძემ:**

— მეტად მნიშვნელოვანია, რომ წელს სამინისტროს საპატიო სიგელებით ვაჯილდოვებთ ღვაწლმოსილ ადამიანებს, ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, ბატონ მამია ზაქრაძეს, ბატონ ნიკო თოფურიასა და ქალბატონ ცისანა ჯანაშვილს, რომლებმაც თავიანთი დიდი წვლილი შეიტანეს უცხოეთში ქართული დიასპორის საქმეში, — აღნიშნა ბატონმა ბრეგაძემ. — ეს-ესაა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 14 ივნისს სტიქიის შემოტევის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ქართული დიასპორის გამოგზავნილი ჰუმანიტარული ტვირთი ჩამოვიდა. თქვენთვის ადვილი გასაგებია, თუ რაოდენ ძნელია უცხოეთში ლუკმაპურის საშოვნელად წასული ადამიანებისთვის სარჩო-საბადებლის მოკლება და თანამემამულეთა დახმარება, რისთვისაც მათ ყველანი ულრმეს მადლობას ვუხდით.

სიხარულით მინდა გაცნობოთ, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია II ინიციატივით წლეულს, 14 ოქტომბერს, თბილისში დაგეგმილია ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის ჩატარება. ეს იქნება გრანდიოზული ღონისძიება, რომელსაც უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ქართული ემიგრაციის მრავალი ღირსეული წარმომადგენელი დაესწრება.

დღესდღეობით საზღვარგარეთ დაახლოებით 1,5 მილიონი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს და მოღვაწეობს, ამიტომაც წლეულს მაისში თბილისში გამართული საერთაშორისო ფორუმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ემიგრანტების მშობლიურ ფესვებთან დაბრუნებისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა იყო. ბუნებრივია, ქვეყნიდან ყველა წასული უკან არ დაბრუნდება, ამდენად, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მათ სამშობლოსთან კავშირი არ დაკარგონ, უცხოეთში მიღებული თავიანთი გამოცდილება ქვეყანას გაუზიარონ. ამას უდიდესი დატვირთვა აქვს ერის მომავლის წინაშე, რადგან, სამწუხაროდ, ემიგრაციის მეორე და, მით უმეტეს, მესამე თაობებმა ქართული ენაც კი აღარ იციან ხეირიანად. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება საკვირაო სკოლების ამოქმედება, ქართული ენის დისტანციური სწავლების მეთოდების ფართო დანერგვა და სხვა.

დღევანდელი დაჯილდოებაც შესაძლოა, იმის ნიშანი გახდეს, რომ ქართული ემიგრაციის სხვა წარმომადგენელთა მოღვაწეობა სამშობლოში დაფასებული იქნება, რაც მათ ერთგვარ სტიმულს მისცემს.

ბატონმა სანდრო ბრეგაძემ დიასპორის საკითხებში სამინისტროს საპატიო სიგელები მამია ზაქრაძის, ნიკო თოფურიასა და ცისანა ჯანაშვილის ნათესავებსა და ახლობლებს გადასცა.

იმ დღეს გამომსვლელებმა ბევრი თბილი სიტყვა წარმოთქვეს ქართული დიასპორის ამ გამორჩეული პირების მიმართ, არაერთი გულთბილი, სიყვარულით აღსავსე სიტყვა წარმოითქვა, პოეტმა თინათინ მღვდლიაშვილმა კი ბატონ პეტრე ხვედელიძის ხსოვნას მშვენიერი ლექსიც მიუძღვნა.

— მთელი თავისი შემოქმედებით ცისანა ჯანაშვილი ქართველთა და ებრაელთა მეგობრობას ემსახურება, იგი დღესაც ქართული სულისკვეთებით ცხოვრობს, სულით ქართველი ქალია. მის მიერ დახატული ცალკეულ გამორჩეულ პირვონებათა პორტრეტები ერთობაში საქართველოს პორტრეტს ქმნის. მისი ტრადიციული ხასიათიდან გამომდინარე, შექმნილ პორტრეტებს საჩუქრად გადასცემს უშანგი ჩხეიძის, ნატო ვაჩნაძის, გალაკტიონ ტაბიძისა და თბილისში ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმებს, — თქვა გამოსვლისას ქალბატონმა სოფიკო ჯერვალიძემ და ქალბატონ ცისანა ჯანაშვილის თხოვნისამებრ მისი გზავნილის ამონარიდი წაუკითხა დამსწრეთ:

**„მოგესალმებით, ქალბატონებო და ბატონებო! დიდი პატივია ჩემთვის, 25 ივნისს, ქართველ ემიგრანტთა ამ ღირსშესანიშნავ დღეს, ჩემი შემოქმედების წარმოდგენა. როდესაც ჩემს ძმას, დათოს, ვუთხარი, რომ მის მიერ შესრულებული „სულიკო“ ფონად დაედებოდა ღონისძიებას, გაბზარული ხმით მიპასუხა: „სულიკოთი“ დატოვებულ საქართველოს ვუმღერიო“ და ცრემლმორეული ოთახიდან გავიდა. მთელი გულით მინდა მივულოცო ჩვენს ღვაწლმოსილ ემიგრანტებს ნიკო თოფურიასა და მამია ზაქრაძეს დაბადებიდან 95 წლისთავი, ჯანმრთელობა და მხნეობა ვუსურვო მათ, ისინი ხომ ჩვენ ადამიანობის საოცარ მაგალითს გვაძლევენ. მათი ცხოვრების მიტოვებულ ურთულეს გზაზე არაერთხელ მესაუბრა ჩემი მეგობარი ციცინო ჯერვალიძე. მადლობა გამოფენის ორგანიზატორებს, ასევე მადლობა ჩემს მეგობარ ციცინოს ამერიკაში გამოცემული წიგნებისთვის, რომლებითაც ბატონი პეტრე ხვედელიძე გამაცნო. ერთადერთხელ ვიხილე ბატონი პეტრე ვაშინგტონში და მის ხსოვნასა და სიყვარულს მარად გულით ვატარებ. მადლობა მუზეუმში შეკრებილ მეგობრებს თანადგომისა და დახმარებისთვის. განსაკუთრებული მადლობა დიასპორის საკითხებში სამინისტროს, რომელმაც ასეთი ყურადღება გამოიჩინა ჩემს, უცხოეთში გადახვეწილი მხატვრის მიმართ.**

**მეგობრებო, მე ხომ საქართველოდან არსად წავსულვარ, რადგან ჩემი ფიქრითა და სულიერებით სამუდამოდ მიჯაჭვული ვარ ჩემს ლამაზ ქვეყანასთან.**

**დაბოლოს, ძია პეტრეს სულის გამოძახილით მინდა დაგემშვიდობოთ: „მადლობელი, მადლობელი, მადლობელი!!!“**



ცისანა ჯანაშვილი „ავტოპორტრეტი“

ოთარ ტურაბელიძე

სახელმწიფო და განათლების სისტემა

# ქართული უნივერსიტეტები წარმატებულ სტუდენტებს ფინანსურად ეხმარებიან!

**სტიპენდიები, როგორც სტუდენტების წახალისების საშუალება — თითქმის ყველა ქვეყანაში აპრობირებულია. გამონაკლისი არც საქართველოა. უკვე რამდენიმე წელია, არსებობს სახელმწიფო სტიპენდიების პროგრამა, რომლის მიხედვითაც წარჩინებულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობის სტიპენდია მიიღონ.**

**სახელმწიფო სტიპენდია მოქმედებს ყველა იმ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში, რომელზეც კონტროლს განათლების სამინისტრო ახორციელებს. სახელმწიფო სტიპენდიები გაიცემა თითოეულ უმაღლეს სასაწავლებელში სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4 პროცენტზე. სტიპენდიებისთვის წელს 4,5 მილიონი ლარი გამოიყო.**

სემესტრის დასაწყისში თითოეული სახელმწიფო სასწავლებელი ადგენს წარჩინებულ სტუდენტთა რეიტინგს. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეიტინგის შედგენისას ყურადღება ექცევა როგორც ნიშნებს, ასევე სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობას და ა.შ.

**„ბაკალავრიატის სტუდენტს საშუალება აქვს 4 წლის მანძილზე 7-ჯერ მოიპოვოს სტიპენდია. მე შვიდჯერვე მოვიპოვე. მაღალი აკადემიური მოსწრება მქონდა ყველა სემესტრში და ამავდროულად ვმონაწილეობდი კონფერენციებში, ვაქვეყნებდი სტატიებს. როდესაც იღებ ფინანსურ მხარდაჭერას, ეს დამატებითი მოტივაციაა“** , — ამბობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი მარიამ კუბლაშვილი.

სახელმწიფო სტიპენდიების განაწილების წესებს არ ეთანხმება ზოგიერთი სტუდენტი: **„ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კონფერენციებში მონაწილეობას. არის ზოგიერთი სტუდენტი, რომელიც ერთხელ დაწერს თემას და მერე ყოველ სემესტრში წარადგენს მას. კონფერენციებში თუ არ გაქვს მიღებული მონაწილეობა, პრაქტიკულად, ძალიან მაღალი ქულები უნდა მიიღო, რომ აიღო სტიპენდია. თან მე სხვა აქტივობები არ ჩამითვალეს, მაგალითად, ლიტერატურულ ინსტიტუტში სტაჟირება და „ფრანკფურტის ლინგვისტური წრის“ საზაფხულო სკოლის კურსები. კონფერენციების გარდა, სტატიებსაც აქცევენ ყურადღებას. მაგალითად, სტუდენტს თელავის გაზეთში ჰყავს ნაცნობი. იქ ბეჭდავს 10 სტატიას და ჩემზე დაბალი ქულები აქვს, მაგრამ ის იღებს სტიპენდიას, მე კი ვერა“,** — ამბობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტუდენტი ნათია.

სახელმწიფო სტიპენდიების არსებულ სისტემას მისაღებად მიიჩნევს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე სერგო რატიანი: **„არსებული სისტემა სახელმწიფო სასწავლებლებში არის ნორმალური, თუ იქნე-**



**ბა უფრო მეტი თანხა ამისთვის გამოყოფილი, რა თქმა უნდა, უფრო კარგია. იმ აზრს, რომ სტიპენდია უნდა ჰქონდეს ყველას, მე არ ვიზიარებ“.**

უნივერსიტეტებს ასევე შეუძლიათ დააწესონ სხვა ფინანსური ჯილდოები. მაგალითად, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს კონფერენციებში გამარჯვებული სტუდენტების წახალისების სისტემა. **„სტუდენტებს ვაძლევთ ფულად ჯილდოს. გამოიყოფა ბიუჯეტი, რომელსაც ამტკიცებს აკადემიური საბჭო, შემდეგ კი ადგილების რაოდენობა განისაზღვრება. მაგალითად, პირველ ადგილზე გასულს 200 ლარი, მეორეზე გასულ 150 ლარი, მესამეზე გასულს კი 100 ლარი გადაეცემა“,** — ამბობს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შალვა ჭკადუა.

რაც შეეხება კერძო უნივერსიტეტებს, მათი ნაწილი ყოველთვიურ სტიპენდიებს გასცემს, ნაწილი კი საგრანტო სტიპენდიებს უზრუნველყოფს. **„კერძო სასწავლებლები ამ მხრივ არ იზღუდებიან. რა სახის წახალისებას, სტიპენდიას თუ დახმარებას უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის, ამაში თავისუფლები არიან“,** — აღნიშნა bpn.ge-თან საუბრისას განათლების სამინისტროს სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს უფროსმა ვალერიან გობრონიძემ.

**„ჩვენს უნივერსიტეტში თვეში 100 ლარია სტიპენდია, რაც უდავოდ კარგია. იგი სტუდენტს ბევრ რამეში უწყობს ხელს და თან სტიმული გეძლევა, რომ უფრო მეტი იმეცადინო“,** — აღნიშნა „საქართველოს უნივერსიტეტის“ მე-4 კურსის სტუდენტმა გიგიშა კალანდაძემ.

როგორც „კავკასიის უნივერსიტეტის“ მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსმა ელენე ჯღარკავამ bpn-თან საუბრისას აღნიშნა, კავკასიის უნივერსიტეტში წლის ბოლოს თითოეულ ფაკულტეტზე კეთდება შემაჯამებელი რეიტინგი: „ყველა ფაკულტეტის ყოველ კურსზე გვყავს საუკეთესო სამეული. ამ სამ ბავშვს აქვს შეღავათი შემდეგი წლის სწავლების გადასახადში. პირველ ადგილზე გასულს ვუფინანსებთ სრულად. მეორე ადგილზე გასულს 50%-ით, მესამეზე კი 30%-ით. როგორც ასეთი ყოველთვიური სტიპენდია, ჩვენთან არ არის“.

ყოველთვიური სტიპენდიები არც „თავისუფალ უნივერსიტეტსა“ და „ქართულ ამერიკულ უნივერსიტეტში“ არსებობს. თუმცა, აღნიშნულ კერძო უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედებს შიდა გრანტები. „**GAU თავის საუკეთესო სტუდენტებს ყოველი სემესტრის ბოლოს დაანგარიშებული კუმულაციური ქულების საფუძველზე სტიპენდიებით აჯილდოებს, რომელიც ყოველი მომდევნო ერთი სემესტრის სასწავლო გადასახადებზე ვრცელდება**“, — აღნიშნა „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის“ მარკეტინგისა და კომუნიკაციების სამსახურის წარმომადგენელმა ნანუცა კიკნაძემ.

**„ჩვენ ვატარებთ სხვადასხვა კონკურსს აბიტურიენტებისთვის, რა დროსაც მათ საშუალება აქვთ, მოიპოვონ სასწავლო გრანტები. უშუალოდ სტიპენდიებს კი არ გავცემთ“,** — ამბობს „თავისუფალი უნივერსიტეტის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი დათო გორგილაძე.

**სტიპენდია კანონით დადგენილ ვალდებულებას არ წამოადგენს, იგი ერთგვარი მხარდამჭერი ღონისძიებაა. განათლების ექსპერტის გიორგი გახელაძის თქმით, სახელმწიფო პირველ რიგში, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს უცხადებს სასტიპენდიო მხარდაჭერას. მისივე თქმით, კარგი იქნება თუ ეს კერძო სასწავლებლებზეც გავრცელდება, თუმცა, საქართველოს განათლების და მეცნიერების სისტემას საკმარისი ბიუჯეტი არ გააჩნია.**

**თამთა ჯიჯავაძე**

SIC!

## კარალეთში დევნილთათვის კოტეჯებს არემონტებენ

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა კარალეთის დევნილთა ჩასახლებაში კოტეჯების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. სოზარ სუბართან ერთად დევნილების პრობლემებს გაეცნენ მინისტრის მოადგილე მამუკა ცოტნიაშვილი, შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილე გურამ მაჭარაშვილი და შიდა ქართლის დევნილთა სამმართველოს უფროსი თამაზ გვიმრაძე.**

**სოზარ სუბარის განცხადებით, ძალიან დიდი ხანია, რამდენიმე დასახლებაში მოსახლეობას კოტეჯებთან დაკავშირებული პრობლემა აწუხებს. მისივე თქმით, პრაქტიკულად სახლები ჭაობიან ადგილებში აშენდა, თავის დროზე არ გაკეთებულა ნორმალური საჰაეროები, მასალა იყო უვარგისი. შესაბამისად, 5-6 წელიწადში ბევრ კოტეჯში იატაკი ჩაიმტვრა ან ჩამტვრევის პირასაა.**

**მინისტრის ინფორმაციით, ამ დროისთვის შეირჩა 215 კოტეჯი, სადაც იატაკი სასწრაფოდ არის გამოსაცვლელი. ასევე 20 კოტეჯში გაკეთდება სახურავი. „ეს არის პირველი ეტაპი, შემდეგ მივყვებით ყველა იმ სახლს, სადაც ასევე მძიმე მდგომარეობაა და გამოვცვლით იატაკს ნაბიჯ-ნაბიჯ. ესეც არის კიდევ ერთი მაგალითი იმისა, როგორ გვიხდება ფულის გადახდა ორჯერ და სამჯერ იქ, სადაც ერთხელ ხარისხიანად რომ გაკეთებულიყო, კარგი იქნებოდა“, — განაცხადა სოზარ სუბარმა.**

**მისივე ინფორმაციით, უფრო მძიმე პრობლემებია ვერხვების დასახლებაში, სადაც ასამდე კოტეჯი მეწყრულ ნიადაგზეა. ჯერჯერობით უცნობია, შესაძლებელია თუ არა მათი გამაგრება, თუ არსებობს ხალხის გაყვანის საჭიროება. მინისტრის ინფორმაციით, გორში 460 დევნილი ოჯახისთვის 4 კორპუსი აშენდება. ჯამში 8-სადარბაზოიანი ნაგებობის მშენებლობა, სავარაუდოდ, შემოდგომაზე დაიწყება.**

**ინტერპრესი**

რა ღირს ფერმერის შრომა?

# ხორბალი ბევრია, მაგრამ გლეხები ფასს აპროტესტებენ!

**კახელებმა დიდი ოდენობით მარცვლეული მოიწიეს, მაგრამ მის რეალიზაციას ვერ ახერხებენ. მათთვის მიუღებელია ფასიც, რომელიც შარშანდელთან შედარებით, მკვეთრად არის შემცირებული.**

**წელს კახეთში 1 ჰექტარზე 3-დან 5 ტონამდე ხორბალს მიიღებენ. ამ დროისთვის ხორბალს ალაზნის ველზე იმკიან. შარშანდელი გვალვიანი წლის შემდეგ, წელს ფერმერებს ძალიან გაუმართლათ, მაგრამ ამჯერად პრობლემა სხვა კუთხით შეიქმნა.**

**თუკი შარშან 1 კილოგრამი ხორბლის ღირებულება 55 თეთრის ფარგლებში მერყეობდა, ახლა მისი ფასი 35-38 თეთრია. თანაც კახელებს, მიმდინარე ხარჯებთან ერთად, შარშანდელი ვალებიც გასასტუმრებელი აქვთ. შარშან ბევრ მათგანს, სიცხისაგან ყანები მთლიანად დაეწვა.**

გლეხებს არც მოსავლის შენახვის საშუალება აქვთ, რადგან გადასახადი დიდია. ამიტომ ისინი ითხოვენ, რომ მსხვილმა კომბინატებმა კეთილი ნება გამოიჩინონ და დროულად შეისყიდონ ხორბალი. მათ აქვთ საკუთარი საწყობები და იმის შესაძლებლობა, რომ გლეხებს მარცვლეულის იქ დასაწყობება შესთავაზონ.

ამისათვის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ხორბლისა და პურპროდუქტების მწარმოებელთა ასოციაცია „გლობალ აგროს“ ინიციატივით, ქვეყნის მასშტაბით მოქმედი წისქვილკომბინატების წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მთავარი თემა ხორბლის უხვი მოსავალი და ალოობის დაწყება იყო.

სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე წისქვილკომბინატების წარმომადგენლებმა ფქვილის იმპორტის მექანიზმებისა და ფასების რეგულაციების საკითხები განიხილეს და აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან მონიტორინგის გამკაცრების მნიშვნელობაზე იმსჯელეს. საქართველოს ხორბლისა და პურპროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელის განცხადებით, ქვეყნის მასშტაბით არსებული წისქვილკომბინატები სრულ მზადყოფნაში არიან, შეისყიდონ ხორბლის მოსავალი და ამით ადგილობრივ ფერმერებს პროდუქციის რეალიზაციაში ხელი შეუწყონ.



ამასობაში ფერმერები უხვ მოსავალს ემადლიერებიან, მაგრამ რეალიზაციას უჩივიან. ამ ეტაპზე ისინი ქერის გაყიდვას ვერ ახერხებენ. ბოლო დროს 1 კილოგრამი ქერის ფასი 60-დან 30 თეთრამდე დაეცა, თუმცა, ამ ფასადაც ჭირს რეალიზაცია. ფერმერები ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ.

**„წელს საუკეთესო მოსავალი მოვიდა, მაგრამ ვერ ვყიდით. იმის გამო, რომ ქერი დამეთესა, მანქანა და სახლი ჩავდე ბანკში და კრედიტი ისე გამოვიტანე, ახლა რა უნდა ვქნა, არ ვიცი“,** — აცხადებს ფერმერი ელიზბარ იმერლიშვილი.

ბაჩუკი გონაშვილი კი ამბობს, რომ შირაქის და ტარიბანის ველებზე ქერის საშუალო მოსავლიანობა 1 ჰექტარზე 4-დან 7 ტონამდე მერყეობს. **„კილოგრამი ქერის ფასი 60 თეთრი იყო, ახლა კი 30 თეთრზე დაეცა, თუმცა, მყიდველი მაინც არ ჩანს“,** — განუცხადა qiziyi.ge-ს ბაჩუკი გონაშვილმა.

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში აღნიშნავენ, რომ დღეისთვის რაიონის ტერიტორიაზე სახნავ-სათესი ნაკვეთების 47 663 ჰა-დან წელს 11929 ჰა ხორბალი, ხოლო 2 720 ჰა-ზე ქერი იყო დათესილი. უწყების ინფორმაციით, წელს 40 000 ტონა ხორბლის და 9 520 ტონა ქერის მოსავალს ელოდებიან.**

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ზვიად ჯავახიშვილის თქმით, მარცვლეულის გასაყიდი ფასი, სავარაუდოდ, ორ კვირაში დასტაბილურდება.

**ბექა დანელია**

ჩვენ

# „რუსთავის ფოლადი“ სამსახურიდან რამდენიმე ასეულ თანამშრომელს დაითხოვს

როგორც პრესკონფერენციაზე საწარმოს გენერალურმა დირექტორმა ნუგზარ კაჩუხაშვილმა განაცხადა, მძიმე გადაწყვეტილება გამოწვეულია როგორც გლობალური ფაქტორებით, კერძოდ, საერთაშორისო ბაზრებზე ლითონის ნაკეთობათა ფასების მკვეთრი შემცირებით, ასევე ადგილობრივი – კომპანიის წინააღმდეგ წარმოებული გაუმართლებელი სასამართლო პროცესებით გამოწვეული შეზღუდვებით. როგორც შპს „რუსთავის ფოლადის“ გენერალურმა დირექტორმა აღნიშნა, ფოლადის ნაწარმზე ფასები 2014 წლის ბოლოსათვის საშუალოდ 40%-ით შემცირდა. ამან გამოიწვია „რუსთავის ფოლადის“ საფინანსო მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუარესება.

„2015 წლის დასაწყისიდან კომპანიის მენეჯმენტმა გაატარა ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებები, რაც ქარხანას საშუალებას აძლევდა, ფუნქციონირება გაეგრძელებინა კადრების მნიშვნელოვანი შემცირების გარეშე. ამასთან ერთად, უკანასკნელ წლებში რუსთავის ფოლადის წინააღმდეგ მიმდინარეობს რამდენიმე აბსურდული სასამართლო დავა. სამწუხაროდ, ამ დავების ფარგლებში გაუმართლებლად შეიზღუდა საწარმოს აქტივების, განსაკუთრებით კი, წიდის მარაგის გამოყენება. ჩვენ პერიოდულად ვაწვდიდით საზოგადოებას ინფორმაციას ამ დავების შესახებ. მაგალითად, ვინმე ეთერ მთვრალაშვილის სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის გამო, რომელიც 4553 ლარს და 48 თეთრზე დავობდა, აკრძალვა დაედო კომპანიის მრავალ ათეულ მილიონიან ქონებას. ეს შეზღუდვები ბევრად ზრდის ნედლეულის ხარჯებს საწარმოსთვის, რაც ისედაც მძიმე ფინანსურ სიტუაციაში მყოფ კომპანიას გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს“, – განაცხადა ნუგზარ კაჩუხაშვილმა.



# აჭარაში ზღვის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლები გაცილებით უკეთესია, ვიდრე წინა წლებში იყო

ამის შესახებ აჭარის გარემოს ინტეგრირებული მართვის განყოფილების უფროსმა ნუგზარ პაპუნიძემ განაცხადა. პაპუნიძის ინფორმაციით, ზაფხულის სეზონის დაწყებიდან შავი ზღვის წყლის მონიტორინგი სისტემატურად, 10 დღეში ერთხელ ხორციელდება. შემოწმება კი ექვსი ინგრედიენტით, აჭარის რეგიონში, 8 წერტილში სარფიდან ჩოლოქამდე ტერიტორიაზე ხდება.

„დღემდე წარმოდგენილი ინფორმაციით, ლაბორატორიული კვლევებით ზღვის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებელი მთელს პერიმეტრზე არის დამაკმაყოფილებელი. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე წელს გაცილებით უკეთესია ზღვის წყლის ხარისხი, ვიდრე ეს გასულ წლებში იყო. უკეთესობისკენ ცვლილებები განაპირობა იმან, რომ ბათუმში გამართულად მუშაობს ფეკალური და საყოფაცხოვრებო წყლების გამწმენდი ნაგებობა“, – განაცხადა ნუგზარ პაპუნიძემ.

გარემოს ინტეგრირებული მართვის განყოფილების უფროსის ინფორმაციით, ბოლო მონაცემებით ყველაზე უკეთესი მდგომარეობა სარფსა და კვარიათშია, სადაც ზღვის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლები ნორმასთან შედარებით 15-ჯერ უკეთესია.

ინტერპრესი

**დანართი №1 (7 ფურცელი)**
**დამტკიცებულია**
**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის**
**2015 წლის „26 ივნისის“**
**№ ს-302 ბრძანებით**

| N | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საბადო ან გამოვლინება | კატეგორია | ლიცენზიის მოქმედების ვადა | მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა მ3/წელიწადში | საწყისი ფასი (ლარი) | ბე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N48 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 365000 მ3/წელიწადში | 4 167 | 1034 |
| 2 | ბათუმი, ანგისის დასახლება, ფრ.ხალვაშის ქ.N23 მიწისქვეშა წყალი | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 10950 მ3/წელიწადში | 125 | 225 |
| 3 | ქ ქობულეთი,რუსთაველის ქ.N174 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 175200 მ3/წელიწადში | 2001 | 605 |
| 4 | ქ. ბათუმი, დაბა ხელვაჩაური. კოწია ერისთავის N21 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 473040 მ3/წელიწადში | 5 400,3 | 1281 |
| 5 | ქ.ბათუმი,ფრ. ხალვაშის გამზირი ჩიხი N4ა | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 18250 მ3/წელიწადში | 208 | 245 |
| 6 | ქ.ბათუმი,ფრ.ხალვაშის ჩიხი N3 სახლი N2 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 1095 მ3/წელიწადში | 21 | 205 |
| 7 | ქ. ბათუმი, ანგისის დასახლება | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 10950 მ3/წელიწადში | 125 | 225 |
| 8 | ქ. ქობულეთი, ქიაჩელის ქ. N8 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 36500 მ3/წელიწადში | 417 | 285 |
| 9 | ქ. ბათუმი,ფრ.ხალვაშის გამზირი N 42 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 1095 მ3/წელიწადში | 21 | 205 |
| 10 | ქ.ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N32 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 3650 მ3/წელიწადში | 42 | 209 |
| 11 | ქ.ბათუმი, ფრ.ხალვაშის მე-4 ჩიხი,სახლი N2 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 18250 მ3/წელიწადში | 208 | 245 |
| 12 | ქ. ბათუმი,აეროპორტის გზატკეცილი N 26 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 18250 მ3/წელიწადში | 208 | 245 |
| 13 | ქ.ბათუმი, ბაქრაძის ქ.N27 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 3650 მ3/წელიწადში | 42 | 209 |
| 14 | ქ. ბათუმი, ტაოს ქ.N6 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 14600 მ3/წელიწადში | 167 | 240 |
| 15 | ფრ.ხალვაშის N255 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 1825 მ3/წელიწადში | 21 | 205 |
| 16 | აკაკი შანიძის ქ.N1 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 3650 მ3/წელიწადში | 42 | 209 |
| 17 | აკაკი შანიძის ქ.N3 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 3650 მ3/წელიწადში | 42 | 209 |
| 18 | აეროპორტის გზატკეცილი N138 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 1825 მ3/წელიწადში | 21 | 205 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19 | ქობულეთი,სოფ.გვარა | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 1825 მ3/წელიწადში | 21 | 205 |
| 20 | დაბა ხელვაჩაური. აკაკი შანიძის I შესახვევი N4 (ორ ჭაბურღილზე თითოეულიდან 73 000 მ3/წელიწადში) | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 146000 მ3/წელიწადში | 1667 | 340 |
| 21 | ფრ.ხალვაშის ქ.N45ა | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 10950 მ3/წელიწადში | 125 | 225 |
| 22 | დაბა ხელვაჩაური, წერეთლის ქ.N9 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 36500 მ3/წელიწადში | 417 | 285 |
| 23 | ბათუმი, კახაბრის დასახლება. | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 1825 მ3/წელიწადში | 21 | 205 |
| 24 | ქ.ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, აღმაშენებლის ქ.N44 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 1825 მ3/წელიწადში | 21 | 205 |
| 25 | დაბა ხელვაჩაური, აღმაშენებლის ქ.N9 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 18250 მ3/წელიწადში | 208 | 245 |
| 26 | ქ.ქობულეთი, დაბა ჩაქვი, ბათუმის ქ.N16(ორ ჭაბურღილზე თითოეულიდან 36 500 მ3/წელიწადში) | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 73000 მ3/წელიწადში | 834 | 380 |
| 27 | ქ. ბათუმი, დაბა ხელვაჩაური | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 69350 მ3/წელიწადში | 792 | 360 |
| 28 | ქ.ქობულეთი,სოფ.ხუცუბა ნი. | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 1825 მ3/წელიწადში | 21 | 205 |
| 29 | დაბა ხელვაჩაური, მეჯინისწყლის დასახლება | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 3650 მ3/წელიწადში | 42 | 209 |
| 30 | ქ. ბათუმი. ფრ.ხალვაშის ქ.N368 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 3650 მ3/წელიწადში | 42 | 209 |
| 31 | ქ. ქობულეთი, დ.აღმაშენებლის ქ.N275 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 51100 მ3/წელიწადში | 585 | 350 |
| 32 | ქ. ბათუმი გენ.ა.აბაშიძის 1.N14 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 54750 მ3/წელიწადში | 625 | 325 |
| 33 | დაბა ხელვაჩაური, ურეხის დასახლება | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 5475 მ3/წელიწადში | 125 | 225 |
| 34 | დაბა ხელვაჩაურის მეჯინისწყლის დასახლება | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 3650 მ3/წელიწადში | 42 | 209 |
| 35 | დაბა ხელვაჩაური ,წერეთლის შესახვევი N2 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 36500 მ3/წელიწადში | 417 | 285 |
| 36 | დაბა ხელვაჩაური სოფ.მეჯინისწყალი | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 25550 მ3/წელიწადში | 292 | 260 |
| 37 | დაბა ხელვაჩური ,მეჯინისწყლის დასახლება | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 54750 მ3/წელიწადში | 625 | 325 |

იხ. 12 გვ.

ჩვენ

## ზღვის დაბინძურებისთვის დააჯარიმეს

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის კონვენციური სამსახურის თანამშრომლებმა, სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებთან ერთად, ბულგარეთის დროშის ქვეშ მცურავი გემის მიერ ბათუმის ნავსადგურის დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს.

გემმა შავ ზღვაში ნავთობპროდუქტები ჩაღვარა.

სამართალდამრღვევის მიმართ გატარდა საჯარიმო სანქციები. კერძოდ, გემის კაპიტანს დაეკისრა ჯარიმა 65 000 ლარის ოდენობით. ასევე დაანგარიშებული იქნა გარემოსთვის მიყენებული ზიანი.

გემმა საქართველოს ტერიტორიული წყლები, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ სამართალდამრღვევისთვის დაკისრებული ჯარიმის 65000 ლარი და გარემოსთვის მიყენებული ზიანის გადახდის შემდეგ დატოვა.

## დაკავებული არიან თაღლითი ცოლ-ქმარი

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით არაერთგზის ჩადენილი თაღლითობის ბრალდებით, დაკავებული არიან ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ცოლ-ქმარი — 1987 წელს დაბადებული ვახტანგ ბ. და 1989 წელს დაბადებული მარიამ გ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა დააფუძნეს შპს „საქართველოს შესყიდვები“, ვებ-გვერდ myauto.ge-ზე განთავსებული განცხადებებით პოულობდნენ გასაყიდად გამოტანილ, სასურველ ავტომანქანებს, ავტომანქანების მესაკუთრეებს უკავშირდებოდნენ და ეცნობოდნენ, როგორც სახელმწიფო შესყიდვების წარმომადგენლები. ისინი თითქოს ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობდნენ და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისთვის ავტომანქანების შესყიდვას აწარმოებდნენ. მარიამ გ. ავტომანქანების მესაკუთრეებთან ხელშეკრულებებს აფორმებდა.

## გააფრთხილეს ურჩი მძღოლები

კომპანია „თბილისის მიკროავტობუსმა“ ურჩი მძღოლების ნაწილს გაფრთხილება მისცა, ნაწილს კი 2 კვირით მიკროავტობუსის მართვა აეკრძალა.

მგზავრობისას კონდიციონერი არ ჩართეს შემდეგმა მძღოლებმა: №17 სამარშრუტო მიკროავტობუსის მძღოლმა ი. შ.-მ, №75-ის მძღოლმა ი. რ.-მ, №128-ის მძღოლმა ზ. კ.-მ, №51-ის მძღოლმა ლ.ღ.-მ, №2-ის მძღოლმა რ.ქ.-მ და №34-ის მძღოლმა მ.მ.-მ. გარდა ამისა, მოძრაობისას სიგარეტს ეწეოდნენ №184 სამარშრუტო მიკროავტობუსის მძღოლი რ. მ. და №117-ის მძღოლი ზ. პ. აღნიშნულ პირებს ხაზზე მუშაობა თითო თვით აეკრძალებათ.

## სუიციდი თიანეთში

თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეძათხევში 18 წლის ბიჭმა თავი ჩამოიხრჩო. როგორც მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა ნუგზარ ყიფიანმა განაცხადა, შემთხვევა სამი დღის წინათ მოხდა. გარდაცვლილი სავალდებულო სამსახურში, დაცვის პოლიციაში მსახურობდა.

არსებული ინფორმაციით, 18 წლის ბიჭმა თავის ჩამოხრჩობა სასიყვარულო ურთიერთობებიდან გამომდინარე გადაწყვიტა. მას ამავე სოფლის მცხოვრები გოგონა უყვარდა, თუმცა, კონკრეტულად რა მოხდა, უცნობია.

რამდენიმე თვის წინათ ამავე სოფელში კიდევ ერთმა ახალგაზრდამ მოიკლა თავი, თუმცა, როგორც ყიფიანი აცხადებს, ამ ორ შემთხვევას შორის არანაირი კავშირი არ არსებობს.

ინტერპრესი

## დედამიწის ზურგზე



### „ისლამური სახელმწიფოს“ მხრიდან დიდ ბრიტანეთს საფრთხე ემუქრება...

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ კემერონის სიტყვებით „ერაყსა და სირიაში არიან ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან შეთქმულებაში და გეგმავენ სასწაულებრივ აქტებს დიდ ბრიტანეთსა და სხვა ადგილებში“. „სანამ ამ 2 ქვეყანაში არსებობს „ისლამური სახელმწიფო“, ჩვენ საფრთხის ქვეშ ვიმყოფებით“, — განაცხადა კემერონმა. ტუნისში ტერორისტული აქტის შედეგად 26 ივნისს 30 ბრიტანელი ჟურნალისტი დაიღუპა.

### იაპონიაში დამარხეს კატა, რომელიც 8 წლის განმავლობაში სარკინიგზო სადგურის მეთვალყურედ „მუშაობდა“

სიკვდილის მომენტისათვის ცხოველი უკვე 16 წლისა იყო, რაც ადამიანებთან დაკავშირებით 80 წლის ეკვივალენტს უდრის. ტომის გასაცილებლად დაახლოებით 3 ათასი კაცი მოვიდა. თავისი დამსახურების გამო კატა აყვანილი იქნება ღვთაების სტატუსამდე.



### აშშ-ში თვითმფრინავი დაეჯახა 2-სართულიან საცხოვრებელ სახლს: დაიღუპა 3 კაცი

თვითმფრინავის ავარიის შედეგად სახლს ცეცხლი გაუჩნდა. დაიღუპა 3 კაცი, რომლებიც თვითმფრინავის ბორტზე იმყოფებოდნენ, მფრინავი და 2 მგზავრი. საბედნიეროდ, სახლის მცხოვრებთაგან არავინ დაზიანებულა, თუმცა, ინციდენტის დროს ისინი სახლში იმყოფებოდნენ. ოჯახმა — 2 მოზარდმ და 2 ბავშვმ — შეძლო გამოსულიყო შენობიდან მას შემდეგ, რაც მასში ხანძარი გაჩნდა.

### ბელგრადში გაიხსნა ავსტრიის ერცჰერცოგის მკვლელის გავრილ პრინციპის ძეგლი

ეს მკვლელობა გახდა მიზეზი პირველი მსოფლიო ომის დაწყებისა — ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი სამხედრო კონფლიქტი კაცობრიობის ისტორიაში, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. სერბების უმრავლესობა პრინციპს მიიჩნევენ ქვეყნის გათავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ ავსტრო-უნგრული ოკუპაციისაგან.



| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 38 | დაბა ხელვაჩაური სამრეწველო ზონის ტერიტორია | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 3650 მ3/წელიწადში | 42 | 209 |
| 39 | აეროპორტის გზატკეცილი N120 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 3650 მ3/წელიწადში | 42 | 209 |

| | |
|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; |
| | ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის სამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ)ჭაბურღილებზე მოსაწესრიგებელია თავმორთულობა და ჰერმეტიზაციას;<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის |
| | მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 30 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 ივლისს დღის 18.00 საათზე |
| აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 31 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 31 ივლისს დღის 18.00 საათზე |
| სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |



## გრიმალდის გვარის ნორჩი თაობა

**პატარა სათავადო მონაკო ზეიმობს: ქვეყნის 56 წლის მმართველს, პრინც ალბერ II-ის მეუღლემ შარლენ უისტოკმა შარშან 10 დეკემბერს ტყუპები – ვაჟიშვილი ჟაკი და ქალიშვილი გაბრიელა გააჩინა. შვილების სქესის დადგენა ხელმწიფეთა წყვილს ბოლო წუთამდე პრინციპულად არ უნდოდათ.**

ჟაკი ორი წუთით უმცროსია თავის დაზე, მაგრამ სწორედ ის გახდება ტახტის მემკვიდრე – ეს საკითხი მონაკოში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თავადების გვარის შეწყვეტის შემთხვევაში ქვეყანა საფრანგეთის შემადგენლობაში უნდა შევიდეს. პრესაში გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ 56 წლის თავად ალბერსა და მის 36 წლის მეუღლე შარლენს ტყუპები შემთხვევით არ შესძენიათ – ეს ხელოვნური განაყოფიერების ეკოს „დამსახურებაა“.

ყოფილი სპორტსმენის, სამხრეთაფრიკელი მოცურავის შარლენ უისტოკის ამბავი, რომელიც უფლისწულს შეხვდა, ნამდვილ ზღაპარს ჰგავს. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ თავადი ალბერი არამარტო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სასურველი სასიძო, არამედ ევროპის პირველი ფლეიბოი იყო. მას ისეთ ლამაზ ქალებთან რომანებს მიაწერდნენ, როგორებიცაა **შერონ სთოუნი, კლაუდია შიფერი, ნაომი კემპელი** და სხვები. მას ორი უკანონო შვილიც ჰყავს – 1992 წელს ამერიკელმა თამარ როტოლომ მას ქალიშვილი **ჟასმინი** გაუჩინა. შემდეგ კი შავკანიანი სტიუარდესა **ნიკოლ კოსტასგან** ვაჟიშვილი **ალექსანდრე** შეეძინა. მისი საყვარლები იყვნენ ასევე რუსეთელი მოციგურავეები **მარინა ანისინა** და **ოქსანა გრიშჩუკი**.

ალბერისა და შარლენის სასიყვარულო ურთიერთობა 2006 წელს დაიწყო, როცა ოლიმპიელი ჩემპიონი მონაკოში შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა. 2010 წელს ისინი ერთმანეთზე დაინიშნენ, თუმცა კი მანამდე ბევრს არ სჯეროდა, რომ „სოფლელი გოგო“ ევროპაში ერთ-ერთი უძველესი სამეფო გვარის შთამომავლის გულის დაპყრობას საბოლოოდ შეძლებდა.

ქორწილისთვის დიდი სამზადისი იყო გაშლილი, ამ მიზეზით სამი დღე უქმადაც კი გამოაცხადეს, მაგრამ ქორწინებამდე ორი კვირით ადრე პატარძალმა გაქცევა სცადა, თუმცა, უფლისწულმა მისი უკან დაბრუნება აეროპორტიდან შეძლო. თუ რა მოხდა მაშინ, ამის თაობაზე უამრავი ჭორი დადის, მაგრამ სიმართლე მხოლოდ უახლოესმა მეგობრებმა იციან, ისინი კი დუმან. თავად შარლენი ამბობს, რომ ალბერი უყვარს, იგი ის კაცია, რომელთან ერთად მას მთელი სიცოცხლის გატარება უნდა.

– ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ მე აქ არ ვიქნებოდი, – აცხადებს იგი.

## ბორის ბერეზოვსკის „სიკვდილმისჯილი მეგობრები“...

**ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე ინგლისელი მილიონერი სკოტ იანგი ლონდონის ცენტრში სახლის მეოთხე სართულიდან გადმოხტა და ღობის წვეტიან რკინებს ჩამოეცვა.**

ტრაგიკულ შემთხვევასთან დაკავშირებით სკოტლანდ-იარდმა განაცხადა, რომ მომხდარში საეჭვოს ვერაფერს ხედავს, მაგრამ განსვენებულის მეგობრებს მიაჩნიათ, რომ სკოტ იანგს თავი არ მოუკლავს და ეჭვი რუსულ მაფიაზე აქვთ.

ცნობილია, რომ სკოტ იანგის ქონება, რომელსაც დიდი სამშენებლო ბიზნესი ჰქონდა, სამ მილიარდ დოლარს აღწევდა. რუსეთში იგი ბორის ბერეზოვსკისთან მეგობრობდა, რომლის სიკვდილი კვლავინდებურად იდუმალების ბურუსითაა მოცული. საყურადღებოა, რომ ისევე, როგორც **ბორის ბერეზოვსკის,** სკოტ იანგსაც უამრავი ვალი ჰქონდა. მისი ერთ-ერთი მეგობრის თქმით, სკოტ იანგმა განსახორციელებელ „პროჯექტ მოსკოუზე“ უზარმაზარი თანხები დაკარგა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რუს მაფიოზებს იგი ერთხელ სასტუმროს ფანჯრის რაფაზეც კი დაუყენებიათ და თუკი ის ვალების გასტუმრების პირობას არ დადებდა, გადაგდებით ემუქრებოდნენ.

ბრიტანული გაზეთები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ბორის ბერეზოვსკის გარდაცვალებიდან განვლილი ოთხი წლის შემდეგ სკოტ იანგი უკვე მეექვსე ბიზნესმენია მისი სამეგობროდან, რომელიც უცნაურ ვითარებაში დაიღუპა. მათგან ერთ-ერთმა, ადვოკატმა სტეფან კესტისმა, თავისი ახლობლები წინასწარ გააფრთხილა კიდეც, რომ, თუ მას რამე უბედურება მოუვიდოდა, ეს შემთხვევითობა არ იქნებოდა. არადა, ამ გაფრთხილებიდან რამდენიმე დღეში მისი ვერტმფრენი ჩამოვარდა...

## ტყუილად როდია ნათქვამი – ისე დათვრა, „მაიმუნის ტყავი“ ჩაიცვაო!..

**ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანის ორგანიზმმა ეთილის სპირტის გადამუშავება ათი მილიონი წლის წინათ ისწავლა და ამაში ბრალი... გადამწიფებულ ხილს მიუძღვის.**

თავდაპირველად, ცხოველთა ორგანიზმში ალკოჰოლის, უფრო სწორად კი ეთილის სპირტის გადამმუშავებელი საგანგებო გენი ADH4, არ იყო. იგი მას შემდეგ გაჩნდა, რაც მაიმუნები ხეებიდან მიწაზე ჩამოვიდნენ და ორ თათზე სიარული ისწავლეს. ამავე დროს მათ მიწაზე ნაცვენი, გადამწიფებული, ზოგჯერ კი სულაც შემპალი ნაყოფების ჭამაც დაიწყეს, რომელშიც ეტანოლის ოდენობა იმაზე მეტი იყო, ვიდრე მაიმუნებს მისი მონელება შეეძლოთ.

**ალკოჰოლიზმის ევოლუციაც სწორედ ამ დროიდან მოყოლებული დაიწყო! ისინი, ვისაც ნაცვენი ნაყოფების ჭამა არ შეეძლო, „გვერდზე რჩებოდნენ“, ხოლო მათ, ვისი გენები ახალ პირობებს უფრო შეგუებული აღმოჩნდა, ევოლუცია უფრო ინტენსიურად განაგრძეს.**

გამოყენებითი მოლეკულარული ევოლუციის ფონდისა და ინდიანას შტატის სამედიცინო უნივერსიტეტის ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის მეცნიერებმა, ADH4 გენის განვითარების თავისებური „გენეალოგიური ხე“ შექმნეს, რა დროსაც 28 სხვადასხვა სახეობის ძუძუმწოვრის, მათ შორის, 17 პრიმატის ქსოვილთა ნიმუშები ერთმანეთს შეადარეს. აღმოჩნდა, რომ ორანგუტანგებსა და გიბონებს, რომლებიც ამჟამად ხეებზე ცხოვრობენ და ხილს ტოტებიდან წყვეტენ, ეს გენი უწინდელივით არა აქვთ, იმიტომ, რომ იქ მხოლოდ ან დაუმწიფებელი, ანდა საშუალო სიმწიფის ნაყოფებია. შიმპანზეებს და გორილებს კი, ისევე, როგორც ადამიანებს, ეს გენი აქვთ. ამიტომაცაა, რომ შიმპანზეებს ძლიერ უყვართ გადამწიფებული ხილი, თანაც გარკვეული დოზებით სუფთა ალკოჰოლსაც სიამოვნებით მიირთმევენ.

## ალკოჰოლის მიღებამდე აუცილებლად ლუკმა უნდა გატეხოთ!

**ალკოჰოლის ტრფიალ თანამოქალაქეთა სნეულებათა სტატისტიკის გაანალიზების შემდეგ, ბრიტანელმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ... ერთი ფუჟერი ღვინო სამ ჭიქა არაყზე მავნეა! არადა, 150 გრამ არაყში ეთილის სპირტის ოდენობა გაცილებით აღემატება მის შემცველობას იმავე მოცულობის ღვინოში. ასევე განსხვავებულია ორგანიზმზე მისი ზემოქმედების ხარისხიც, მაგრამ...**

ბრიტანელ მეცნიერთა აზრით, სპირტიანი სასმელების ზე-



მოქმედების ეფექტი სხვა კრიტერიუმების მიხედვით უნდა ისაზღვრებოდეს. საქმე კი ისაა, რომ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე დიდ ბრიტანეთს, მოსახლეობაში ღვიძლის ციროზის დაავადებით, რაც ალკოჰოლიზმის შედეგია, სავალალო მეორე ადგილი უკავია ფინეთის შემდეგ.

გამოკვლევის ავტორთა აზრით, სნეულებათა რიცხვის ასეთი დიდი მატება ღვინის გამო მოხდა, რომელსაც ბრიტანელები უფრო უსაფრთხო სპირტიან სასმელად მიიჩნევდნენ, ამიტომაც მას უფრო მეტად ეტანებოდნენ. აღმოჩნდა, რომ ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია უფროსი თაობის ხალხისთვის. მეცნიერები საზოგადოებას ამ პრობლემის გადაჭრის არასტანდარტულ ხერხს სთავაზობენ.

**ალკოჰოლზე გადაჭრით უარის თქმა საჭირო არ არის. მაგრამ მისი სმა არა შინ, არამედ შესაბამის ადგილებშია საჭირო, ვინაიდან მაღალი ფასები ამ მხრივ საკმაოდ კარგი „მუხრუჭია“.**

ამაში გარკვეული რაციონალური მარცვალი ნამდვილად არის. თუმცა ეს, უმეტესწილად, ისეთ ქვეყნებს ეხება, სადაც თავად ღვინის სმის კულტურა იმდენად არ არის გავრცელებული (როგორც, ვთქვათ, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, გნებავთ ჩვენშია), არამედ იქ უფრო ვისკის, ან ლუდს მიირთმევენ.

**მთავარი კი მაინც ის არის, რომ – ნებისმიერ შემთხვევაში! – ალკოჰოლის მიღებამდე ლუკმა მაინც უნდა გატეხოთ.**

## „წითელი მოქცევების“ ხიფათი

**მსოფლიოში ისე არავის ეშინია „წითელი მოქცევების“, როგორც იაპონელებს. ბოლო სამი ათეული წელიწადია შხამიანი აყვავებული წყალმცენარეები, რომლებიც ზღვის წყალს წითელ ელფერს აძლევენ, სანაპიროს ზოლს დამთრგუნველი რეგულარობით, ერთსა და იმავე დროს – ივლისსა და აგვისტოში უტევენ.**

„წითელი მოქცევები“ ზღვის თითქმის მთელ ფაუნას ანადგურებენ – ხამანწკებით დაწყებული თევზებითა და ცხოველებით დამთავრებული. აგრესიული წყალმცენარეები ყველაზე მეტად მაინც იაპონელ გლეხებს აზარალებენ, რომლებიც ზღვის ბინადართა მოშენებით ირჩენენ თავს.

მკვლევართა აზრით, „წითელი მოქცევების“ გავრცელებას ხელს უწყობს ზღვის წყლის სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურება. მაგრამ, ამავე დროს, თავად ზღვის პროდუქტების მოშენებაც ასევე ამძაფრებს პრობლემას. როცა ხელოვნურ საშენებში ასიათასობით თევზის ლიფსიტას ათავსებენ, მათი საკვების ნაწილი და ექსკრემენტები ზღვის თიხოვან ფსკერზე ილექება, რაც ხელს უწყობს წყალმცენარეთა გამრავლებას.

## თუ ნემეზიდა გვესტუმრება...

**კალიფორნიელი გეოლოგის უოლთერ ალვარეცის აზრით, 65 მილიონი წლის წინათ, ცარცული პერიოდის მიწურულს, დინოზავრების ერთიანად გადაშენების მიზეზი, ჩვენი მზის ჰიპოთეტური თანამგზავრი-ორეული, ვარსკვლავი ნემეზიდა გახდა.**

მზის სისტემის გარშემო ნემეზადის მიმოქცევის პერიოდი 26 მილიონი წელია და ეს დროის სწორედ ის მონაკვეთია, რომელშიც დედამიწაზე ცოცხალი არსებები მთლიანად გადაშენდებიან ხოლმე. საქმე ის არის, რომ ჩვენი მზის სისტემაში პერიოდული „ვიზიტების“ დროს, ნემეზიდა ოორტის ღრუბლის სახელით ცნობილი კომეტების რაიონს გაივლის და ასტეროიდების, კომეტებისა და მეტეორიტების წვიმას იწვევს, რომლებიც ყველა პლანეტას „ბომბავენ“. დინოზავრების მმართველობის დროც მაშინ დასრულდა, როცა უზარმაზარი, სულ მცირე 10 კილომეტრის სიგანის ასტეროიდი დედამიწას დაეჯახა. საშინელი აფეთქების შედეგად ატმოსფეროში აუარება მტვერი აიჭრა, მზე დაბნელდა, აზოტი აზოტმჟავად გარდაიქმნა, ყველა ტყეს ცეცხლი გაუჩნდა, პლანეტა ფერფლის სქელი ფენით დაიფარა, ტემპერატურა კი მყისიერად დაეცა.

## საუზმედ ფინიკის კანი, სადილად – გული, ვახშმად კი – კურკა

**მსოფლიოში უდიდესი უდაბნოს საჰარას შუაგულში, მაღალმთიან, უწყლო ზეგან ტიბესტიზე, სადაც ქვიშაც კი არ არის, რადგან იქ მას ქარი არ აჩერებს, რის გამოც იქაურობა მთვარის ზედაპირს ჰგავს, სადაც მხოლოდ უსიცოცხლო ლოდების გროვებია, ტუბუს ტომი ცხოვრობს. ტუბუ მომთაბარე ტომია, რომელსაც ზოგიერთი ეთნოგრაფი აფრიკის უძველეს ბინადრად თვლის.**

ცოტა ხნით წინათ ამ რაიონებში, რესპუბლიკა ჩადის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში, საერთაშორისო სამეცნიერო ექსპედიცია მუშაობდა. მისმა წევრებმა ორნახევარი ათასი კილომეტრი გაიარეს, რათა საკუთარი თვალით დარწმუნებულიყვნენ – **ტუბუს ტომი ექსტრემალურ პირობებში ცხოვრობს**. ექსპედიციის ვერც ერთმა წევრმა ვერ შეძლო იქაურ პირობებში ორი დღის გაძლებაც კი საგანგებო ტექნიკური აღჭურვილობის – სპეციალური კარვების, კონდიციონერიანი ავტომანქანებისა და რეფრიჟერატორების გარეშე.

ყველაზე მეტად მეცნიერებს ის აინტერესებდათ, თუ რით იკვებება ტუბუ, როგორ ინარჩუნებს მათი ორგანიზმი წყალს, რა არის მათი წარმოუდგენელი გამძლეობის მიზეზი: **სრულიად მოშიშვლებულ, ქვის უდაბნოში, სადაც ჰაერის ტემპერატურა ცელსიუსის 45 გრადუსზე ქვევით არასდროს არ ჩამოდის, ჩრდილი კი, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს, ამ ხალხს დღეში 90 კილომეტრის გავლა შეუძლია(!!)**. ერთხელ, როცა ტუბუს ტომის ერთი ჯგუფი შორეულ გზას გაუდგა, მათ ექსპედიციის რამდენიმე ექიმი გაჰყვა... **„დაღლილობის გამო მანქანის საჭეზე ხელის მოკიდება აღარ შეგვეძლო,** – ყვება ერთ-ერთი ექიმი, – **ტუბუ კი თავდაპირველად აღებული ტემპით კვლავ განაგრძობდა მოძრაობას. ერთი ათწუთიანი შესვენებით გამოვლილი 40 კილომეტრის შემდეგ გულისცემა მათ თითქმის არ შეცვლიათ“.**

თუმცა კი ამით ტუბუს ტომის გამოცანები არ იწურება: **ისინი დიდხანს ცხოვრობენ, ბოლომდე ყველა კბილი საღი რჩებათ, ბავშვთა სიკვდილიანობა კი აფრიკის სხვა ეროვნებებთან შედარებით, გაცილებით დაბალია. საკუთარ თავზე თავად ტუბუ ამბობს, რომ გამოსაკვებად მათ დღეში ერთი ფინიკი ყოფნით: დილით ჭამენ მის კანს, სადილად გულს, ვახშმად კი – კურკას.** ეს ერთგვარი ხუმრობა სინამდვილისგან ბევრი არაფრით განსხვავდება. **ტომის მთელი წლის მანძილზე უცვლელი რაციონი დილაობით უდაბნოს ბალახების ნაყენი ჩაია, სადილად ნახევარი მუჭა ფინიკი და მცირეოდენი პროსო, რომელსაც ოდნავ პალმის ზეთი აქვს მოპკურებული, ანდა ბალახების დანაყილი ძირები. ესაა და ეს.**

ერთხელ ექიმებმა მომთაბარეებს კონსერვის ხორცის წვნიანი შესთავაზეს, მაგრამ როგორც კი მას პირი დააკარეს, მაშინვე გადმოაფურთხეს – ხორცის გემო ტუბუმ არ იციან, მაგრამ როგორ ძლებს მათი ორგანიზმი ცილების გარეშე, მეცნიერთათვის ისეთივე გამოცანაა, როგორც მათთან დაკავშირებული მრავალი სხვა რამ.



ბაქო – 2015

# პირველი ევროპული თამაშები 21-ე ადგილით დავასრულეთ




**ორი ოქროს, ექვსი ვერცხლისა და რვა ბრინჯაოს მედალი - ასეთი ნადავლით დავამთავრეთ ბაქოში გამართული პირველი ევროპული თამაშები, რამაც საბოლოოდ 21-ე ადგილი მოგვიტანა. შეჯიბრების ბოლო დღეებში ძიუდოისტების წარმატებული გამოსვლა რომ არა, შედეგი ბევრად მოკრძალებული იქნებოდა.**

კიმონოიანთა ორი დღის მონაგარზე უკვე ვწერდით. შეგახსენებთ მხოლოდ, რომ ასპარეზობის პირველ დღეს 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ამირან პაპინაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ევროპული თამაშების დასრულებამდე 2 დღით ადრე საქართველოს დელეგაციას ოქროს მედალი მსოფლიოს და ევროპის ორგზის ჩემპიონმა ავთანდილ ჭრიკიშვილმა მოუტანა. 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ძიუდოისტმა ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოიგო. ბულგარელი ივაილო ივანოვი, ესტონეთის ნაკრების წევრი ევგენი სალეევი და ბელარუსი ალექსანდრ სტიაშენკა ისე ჩამოიშორა გზიდან, 5-5 წუთის სრულად გამოყენება არც დასჭირვებია. ფინალში რუს ივან ნიფონტოვს ვაზარი კი დაუთმო, მაგრამ მერე თავადაც აართვა მეტოქეს მსგავსი შეფასება, საბოლოოდ კი შეხვედრაში ერთი გაფრთხილებით გაიმარჯვა. 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ნუგზარ ტატალაშვილმა ფრანგი ფლორენ ურანი, სერბი ლიუბისა კოვაჩევიჩი და სლოვენიელი როკ დრაკშიჩი დაჯაბნა, მაგრამ გადამწყვეტ პაექრობაში საგი მუკის (ისრაელი) ვერაფერი დააკლო და მეორე ადგილს დასჯერდა.

ბაქოს ევროპულ თამაშებზე ჩვენებურთაგან მეორე ოქროს მედალი მძიმეწონოსანმა ადამ ოქრუაშვილმა დაიმსახურა. იგი შეჯიბრებაში მეორე წრიდან ჩაება - მერვედფინალში პოლონელი მაციეჟ სარნაცკი დაამარცხა, მერე თანაგუნდელ ლევან მატიაშვილს იუკოთი აჯობა, ნახევარფინალში ლიტველ მარიუს პასკევიჩუსს იპონით სძლია, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი ორ სასონი (ისრაელი) 2 წუთსა და 40 წამში შებოჭა, რითაც სუფთა გამარჯვება მოიპოვა და ჰეიდარ ალიევის სახელობის სპორტის სასახლეში საქართველოს ჰიმნი მეორედ ააჟღერა, თან ბაქო 2015-ის ოქროს მედალთან ერთად ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის ოქროსაც დაეუფლა, ხოლო პირადი რეიტინგი 400 ქულით გაიმდიდრა. იმავე დღეს 90 კილოში ვარლამ ლიპარტელიანმა ნახევარფინალში თანაგუნდელ ბექა ღვინიაშვილს ორი ვაზარით მოუგო, ფინალი კი რუს კირილ დენისოვთან იუკოთი დათმო და „ვერცხლს“ დაყაბულდა, რითაც ზედიზედ შვიდ ევროპირველობაზე ერგო მედალი (ორი ოქრო, ოთხი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო), ეს კი თანამედროვე ძიუდოში სარეკორდოა. ბექა ღვინიაშვილი და ლევან მატიაშვილი საბოლოოდ მე-5 ადგილებს დასჯერდნენ. ღვინიაშვილმა ბრინჯაოსთვის პაექრობა ერთი გაფრთხილებით წააგო ილიას ილიადისთან (ჯარჯი ზვიადაური), მატიაშვილი კი რენატ საიდოვთან (რუსეთი) დამარცხდა.



## საბოლოო გუნდური ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. რუსეთი – 79 ოქრო, 40 ვერცხლი, 45 ბრინჯაო – 164 მედალი | 21. საქართველო – 2, 6, 8 – 16 |
| 2. აზერბაიჯანი – 21, 15, 20 – 56 | 22. ისრაელი – 2, 4, 6 – 12 |
| 3. დიდი ბრიტანეთი – 18, 10, 19 – 47 | 23. სლოვაკეთი – 2, 2, 3 – 7 |
| 4. გერმანია – 16, 17, 33 – 66 | 24. ლიტვა – 2, 1, 4 – 7 |
| 5. საფრანგეთი – 12, 13, 18 – 43 | 25. ირლანდია – 2, 1, 3 – 6 |
| 6. იტალია – 10, 25, 11 – 47 | 26. ხორვატეთი – 1, 4, 6 – 11 |
| 7. ბელარუსი – 10, 11, 22 – 43 | 27. ბულგარეთი – 1, 4, 5 – 10 |
| 8. უკრაინა – 8, 14, 24 – 46 | 28. საბერძნეთი – 1, 4, 4 – 9 |
| 9. ჰოლანდია – 8, 12, 9 – 29 | 29. შვედეთი – 1, 3, 3 – 7 |
| 10. ესპანეთი – 8, 11, 11 – 30 | 30. სლოვენია – 1, 1, 3 – 5 |
| 11. უნგრეთი – 8, 4, 8 – 20 | 31. ლატვია – 1, 0, 1 – 2 |
| 12. სერბეთი – 8, 4, 3 – 15 | 32. ჩეხეთი – 0, 2, 5 – 7 |
| 13. შვეიცარია – 7, 4, 4 – 15 | 33. ესტონეთი – 0, 1, 2 – 3 |
| 14. თურქეთი – 6, 4, 19 – 29 | 34. მოლდოვა – 0, 1, 2 – 3 |
| 15. ბელგია – 4, 4, 3 – 11 | 35. სან მარინო – 0, 1, 1 – 2 |
| 16. დანია – 4, 3, 5 – 12 | 36. სომხეთი – 0, 1, 0 – 1 |
| 17. რუმინეთი – 3, 5, 4 - 12 | 37. კვიპროსი – 0, 1, 0 – 1 |
| 18. პორტუგალია – 3, 4, 3 – 10 | 38. მაკედონია – 0, 0, 2 – 2 |
| 19. პოლონეთი – 2, 8, 10 – 20 | 39. ნორვეგია – 0, 0, 2 - 2 |
| 20. ავსტრია – 2, 7, 4 – 13 | 40. ფინეთი – 0, 0, 1 – 1 |
| | 41. კოსოვო – 0, 0, 1 – 1 |
| | 42. ჩერნოგორია - 0, 0, 1 – 1 |

ასპარეზობის ბოლო დღეს გუნდურ შეჯიბრებაში 10 ქვეყნის ნაკრები ჩაერთო. მეორე ნომრად განთესილმა საქართველოს ნაკრებმა პირველ წრეში დაისვენა და მეოთხედფინალში ჩეხეთი მშრალი ანგარიშით დაჯაბნა – 5:0. ამირან პაპინაშვილმა (66 კგ) პაველ პეტრიკოვს აჯობა. ლაშა შავდათუაშვილმა (73 კგ) – იაკუბ იეჩმინეკს, ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81 კგ) იარომირ მუსილს სძლია, ბექა ღვინიაშვილმა (90 კგ) – ალექსანდრ ჟურეჩკას, ლევან მატიაშვილმა (მძიმე წონა) მიხალ ჰორაკი დაამარცხა იპონით. ნახევარფინალში საქართველოს ნაკრები უნგრეთს დაუპირისპირდება, რომელმაც მეოთხედფინალში გერმანიას 3:2 აჯობა. ჩვენებმა ეს შეხვედრაც 5:0 მოიგეს (ამჯერად ამირან პაპინაშვილმა, ნუგზარ ტატალაშვილმა, ავთანდილ ჭრიკიშვილმა, ბექა ღვინიაშვილმა და ადამ ოქრუაშვილმა იჭიდავეს) და ფინალში რუსთა მრბეველ საფრანგეთს დაუპირისპირდნენ. სამფეროვნებს, სამწუხაროდ, ვერც ჩვენები (პაპინაშილი, ტატალაშვილი, ჭრიკიშვილი, ლიპარტელიანი, ოქრუაშვილი) გაუმკლავდნენ და 1:4 წააგეს. ფრანგებმა ქალთა გუნდურ ჩემპიონატშიც გაიმარჯვეს.

კვირას პირველი ევროპული თამაშები აზერბაიჯანის დედაქალაქში საზეიმოდ დაიხურა. გუნდური პირველი ადგილი, როგორც მოსალოდნელი იყო, 164 მედლით რუსებმა დაიკავეს, მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, აზერბაიჯანელები (56) და ბრიტანელები (47) გავიდნენ. საქართველოს დელეგაცია, როგორც ზემოთ ალვნიშნეთ, 21-ე ადგილს დასჯერდა.

მომდევნო ფორუმისთვის ჰოლანდიას უნდა ემასპინძლა, მაგრამ საბიუჯეტო სახსრების დეფიციტის გამო ტიტების ქვეყანამ უარი განაცხადა. ასე რომ, არჩევანი მოგვიანებით გაკეთდება.

**ლექსო ცინცაძე**

ავტოსპორტი

# დათა ქაჯაიამ პოლ რიკარზეც ორივე რბოლა მოიგო

**ტურიზმის კლასში ევროპის ჩემპიონატზე დათა ქაჯაიას წარმატებულ გამოსვლასაც ისევე სწრაფად მივეჩვიეთ, როგორც ეს წინა სამ სეზონში, ლეგენდების კლასის ევროპული რბოლებისას ხდებოდა. ETCC-ს სერიის პირველ სამ ეტაპზე დათამ თავის კლასში (TC21) ექვსივე რბოლა მოიგო და დამაჯერებლად ლიდერობს. უფრო მეტიც, ის უფრო სწრაფი „სეატების“ პილოტებთანაც ახერხებს ბრძოლას და ამის დასტურად ორჯერ აბსოლუტურში მეორე იყო.**

მესამე ეტაპს საფრანგეთის ლე კასტელეს პოლ რიკარის ტრეკმა უმასპინძლა, სადაც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ფორმულა 1-ის რბოლებიც ტარდებოდა. კვალიფიკაციაში გამარჯვების შემდეგ დათასათვის პირველი რბოლა თითქოს ძნელი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ სტარტზე ოდნავ შეყოვნდა, რის გამოც რამდენიმე პოზიცია დაკარგა. მიუხედავად ამისა, თავის კლასში ლიდერობა მაინც შეინარჩუნა და წინ არც არავინ გაუშვია.

თუმცა, ესეც არ იკმარა. თანდათან დაიბრუნა პოზიციები და რბოლის მიწურულს მესამე ადგილზე გადაინაცვლა. ერთი შეხედვით, ამაში ხელი მეტოქეებმა – მატიო ჰომოლამ და ანდრეას პფისტერმა შეუწყვეს, რომლებმაც მეორე ადგილისთვის ბრძოლაში გართულებმა ყველაზე მეტად საკუთარი ინტერესები დააზარალეს. მაგრამ ქართველის კარგ რბოლაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ის მეორეზე გასულ პეტრ ფულინს 0.256 წამით ჩამორჩა. ფულინის გასწრებაც შეეძლო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში წრეზე ჩამორჩენილმა ერთ-ერთმა მრბოლმა შეუშალა ხელი და საბოლოოდ განზრახვაზე ხელი აიღო. და ეს იმ დროს, როცა დათა საბურავებს უფრთხილდებოდა – მეორე რბოლაშიც იმავე კომპლექტით უნდა გამოსულიყო და რეზინი უკვე გვარიანად გაცვეთილი იყო. გამარჯვება (ამ სეზონში მესამე) დუშან ბორკოვიჩმა მოიპოვა.




მეორე რბოლა ქაჯაიამ უკანა რიგებიდან დაიწყო (პირველი რბოლის შედეგების რევერსული განლაგების წესით) და გვარიანად გაცვეთილი საბურავების გამო დაწინაურების შესაძლებლობა აღარ მიეცა. თუმცა, მთავარი ისაა, რომ თავის კლასში ისევ ყველაზე სწრაფი იყო და ზედიზედ მეექვსე გამარჯვებაც მოიპოვა, აბსოლუტურში კი ამჯერად მე-6 ადგილს დასჯერდა.

ETCC-ს მეოთხე (ექვსიდან) ეტაპს ჩეხეთის ბრნოს ტრეკი 6 სექტემბერს უმასპინძლებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფეხბურთი

# დუნგა თანამდებობაზე რჩება




**ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი დუნგა თანამდებობას შეინარჩუნებს, მიუხედავად იმისა, რომ მისმა დარიგებულმა გუნდმა კოპა ამერიკაზე ვერ იყოჩაღა და ტურნირს მეოთხედფინალში გამოეთიშა პარაგვაისთან – 1:1 (პენალტებით 2:4).** აღნიშნულის შესახებ განცხადება ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალტერ ფელდმანმა გააკეთა. ცნობისთვის, დუნგამ ბრაზილიის ნაკრები 2014 წელს ჩაიბარა, თუმცა, „სელესაოს“ მანამდე, 2006-2010 წლებშიც ავარჯიშებდა და გუნდს 2007 წელს კოპა ამერიკა მოაგებინა, 2009-ში კი – კონფედერაციის თასი.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

# მანჩინის ოჯახური დრამა და ფეხმსუბუქა ქალები

**მაინცა და მაინც კარგი დროება არ უდგას იტალიელ მწვრთნელს რობერტო მანჩინის. რობერტოს ბოლოდროინდელ ფინანსურ პრობლემებს ახლა უკვე ისიც დაემატა, რომ მისმა ცოლმა გაყრის შესახებ სასამართლოს ოფიციალურად მიმართა და მანჩინის ისედაც შემცირებულ ფინანსურ სახსარს წყალი აქვს შეყენებული.**



რობერტო მანჩინის აწ უკვე ყოფილი ცოლი ფედერიკა მორელი ქმართან დაშორების გადაწყვეტილებამდე მას შემდეგ მივიდა, რაც მანჩინიმ ოფიციალურად ამოიკვეთა საკუთარი ოჯახიდან ფეხი და ღამღამობით ფეხმსუბუქა ქალებთან ხვანცალს შეეჩვია. აბა რომელი ქალი აიტანს ასეთ რამეს?

რობერტოს და ფედერიკას 12-წლიანი თანაცხოვრების მანძილზე სამი შვილი ჰყავთ, რომელთა აღზრდა, რასაკვირველია, ორივე მშობლის პასუხისმგებლობის საქმეა. სიბერეში ახალგაზრდობაგახსენებული რობერტო მანჩინი რამდენად მიხედავს თავის შვილებს – რთული სათქმელია, მაგრამ ფინანსურად ბოლომდე რომ გასძვრება სიქა – ცხადია...

**როსტომ რაჭველიშვილი**

ეპიტაფია

# ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი

## ჯუანშერ (ჯუნა) კვარაცხელიას ხსოვნას



83 წლის ასაკში გარდაიცვალა **ჯუანშერ (ჯუნა) კვარაცხელია**. მან ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობის დიდი და წინააღმდეგობრივი გზა სახელოვნად განვლო. ბუნებით ლიდერი, თავისი თაობის ღირსეული წარმომადგენელი ახალგაზრდული ასაკიდან აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, შრომით საქმიანობას იწყებს ახალგაზრდულ ორგანიზაციაში – კომკავშირში. კომკავშირის კალინინის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობის პერიოდში სრულად გამოვლინდა მისი ნიჭიერება, ფართო ერუდიცია, შემოქმედებით ინტელიგენციასთან მუშაობის უნარი, საქვეყნო საქმის მიმართ მაღალი პასუხისმგებლობა. მისი თვისებების გათვალისწინებით, იგი გადაჰყავთ თბილისის მოსწავლეთა და პიონერთა სასახლის – საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დაწესებულების ხელმძღვანელად, სადაც მან შვიდ წელზე მეტი ნაყოფიერად იმუშავა.

1968 წელს გადაჰყავთ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში, 1970 წელს ირჩევენ პარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველ მდივნად. 1973 წლიდან მუშაობს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, შემდეგ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილედ. 1991 წლიდან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტშია და აქტიურად მონაწილეობს დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობაში.

ბატონმა ჯუნამ დიდი წვლილი შეიტანა საქართველის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საიალქნო სპორტის ფედერაციას, მისი მონაწილეობით დამუშავდა საქართველოს სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ღონისძიებანი.

ბატონი ჯუნა გამოირჩეოდა პრინციპულობით, შრომის მოყვარეობით, მასშტაბური აზროვნებით, ორგანიზატორული ნიჭით, მაღალი შინაგანი კულტურით, ეროვნული ტრადიციების მიმართ ერთგულებით, საკუთარი სტილით, ოპტიმიზმით.

წავიდა ვალმოხდილი ქვეყნის წინაშე, იცხოვრა მართალი კაცის ცხოვრების წესებით, დროის მკაცრ მოთხოვნებს გაუძლო და შექმნა იმის კარგი მაგალითი, თუ როგორ უნდა ემსახურო შენს ქვეყანას, შენს ხალხს.

**მეგობრები**

---

ვალერი ჭანტურია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, განათლებული და პატიოსნებით გამორჩეული პიროვნება, დიდი ერუდიტი და ინტელექტუალი, ქართველ საზოგადოებრიობაში ყოველმხრივ აღიარებული და დაფასებული ინტელიგენტი

**ჯუანშერ ალექსანდრეს ძე კვარაცხელია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გიორგი ნაჭყებია ოჯახით იუწყება უახლოესი მეგობრისა და მეზობლის

**ჯუანშერ (ჯუნა) ალექსანდრეს ძე კვარაცხელიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---



საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება საქართველოს დამსახურებული არტისტის, ყველასათვის საყვარელი მომღერლის

**ეთერ კაკულიას**

გარდაცვალებას, თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

**მერაბ ბერძენიშვილი**

---

ბიძაშვილები მამული, დოდო, ლალი, ბიძაშვილის შვილები ნინო, მარიამ ჩაჩავები, რძალი ლია ახალაძე იუწყებიან

**ეთერ კაკულიას**

გარდაცვალებას.

---

საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო-საგამომცემლო ფონდი და საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგია თანაგრძნობას უცხადებენ ფონდის პრეზიდენტს და მთავარ რედაქტორს ბატონ ალეკო კაკულიას დის

**ეთერ კაკულიას**

გარდაცვალების გამო.

---

„ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების" გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების წევრი, საყვარელი მეგობარი

**ეთერ კაკულია**

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

---

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება" და მისი პრეზიდენტი ბონდო კობაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქართველი ხალხის საყვარელი მომღერლის, თავისი სამშობლოსა და ერის გულანთებული პატრიოტის, ფონდის მიერ განხორციელებულ ეროვნულ პროექტებში აქტიური მონაწილის, მისი მხარდამჭერისა და ბრწყინვალე შემფასებლის, კეთილშობილებით, სათნოებითა და თავისი ბუნებრივი სილამაზით გამორჩეული კდემამოსილი ქალბატონის

**ეთერ კაკულიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებსა და სრულიად საქართველოს.

---

მანანა დანგაძე, ვაჟა აზარაშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უნიჭიერესი ხელოვანის, ყველასათვის საყვარელი მომღერლის, გულისხმიერი ქალბატონის, ოჯახის მეგობრის

**ეთერ კაკულიას**

გარდაცვალების გამო და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

ნანა, ალექსანდრე ჩხეიძეები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრისა და ყველასათვის საყვარელი ქართველი მომღერლის

**ეთერ კაკულიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---



მეუღლე ლუბა, შვილები დიანა, შორენა, შვილიშვილები ნათია, გოგა ჯახიები, ვიქტორ, გიორგი დიდიშვილები, შვილთაშვილები ლუკა, ნიკოლოზ, მარიამ გახარიები, სიძეები რაულ ჯახია, თამაზ დიდიშვილი, დანიელ გახარია ღრმა მწუხარებით იუწყებიან ომისა და შრომის ვეტერანის, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომის, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალრის

**ჟორჟი ლევანის ძე ბუკიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30 VI, 1 VII. დაკრძალვა 2 VII, 15 სთ. მისამართი: ხობი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №15.

---

ჩვენ

## საქართველოში პირველი სიამის ტყუპი გაჩნდა



ფოტოზე გამოსახული ულამაზესი გოგონები სიამის ტყუპია. თებროლე და თამარ ვაშაყმაძეები სამი თვის წინ, 12 მარტს, თბილისში, ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში დაიბადნენ. გოგონები ერთმანეთთან ღვიძლის ნაწილით არიან დაკავშირებული და დამოუკიდებლად ცხოვრება ოპერაციის გარეშე ვერ შეძლებენ. პატარა დებს დროულად სჭირდებათ დახმარება. მათი სხეულები უნდა გაცალკევდეს, რათა დები სრულფასოვნად განვითარდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ოპერაცია საშურია, შესაძლოა, მისი ჩატარება გაჭიანურდეს, რადგან საქართველოში მსგავსი ტიპის ოპერაცია არასოდეს გაკეთებულა, უცხოეთში სამედიცინო მომსახურებისთვის საჭირო თანხები კი ტყუპის ოჯახს არა აქვს.

პატარები ქუთაისში ცხოვრობენ. მათ ათი წლის და ჰყავთ, რომელიც სრულიად ჯანმრთელი დაიბადა. გოგონების დედის, მარიამ ლეჟავას თქმით, რომ არა სიამის ტყუპისთვის მახასიათებელი პათოლოგია, ჩვილი ტყუპიც სრულიად ჯანმრთელია.

## დიდუბეში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

მეტროსადგურ „დიდუბის" ქვედა ნაწილისა და ავტოსადგურ „ოკრიბის" მიმდებარე ტერიტორიის გზის რეაბილიტაცია დასკვნით ეტაპზეა. თბილისის მერიის ინფორმაციით, სამუშაოები, დაახლოებით, ერთ კვირაში დასრულდება.

მათივე განმარტებით, 10 000 კვადრატულ მეტრზე მიმდინარე სამუშაოები თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, მერის მოადგილე გიორგი სოლომონიამ და დიდუბის რაიონის გამგებელმა ირმა ზავრადაშვილმა დაათვალიერეს.

დავით ნარმანია ადგილობრივ მოვაჭრეებსა და სამარშრუტო ტაქსების მძღოლებსაც ესაუბრა. მათი თქმით, გზის რეაბილიტაცია აღნიშნულ ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სამუშაო პირობებს.

პროექტის მიხედვით, მიწისქვეშა კომუნიკაციების მოძველებული და ამორტიზებული მონაკვეთები ახლით შეიცვალა, რის შედეგადაც გაუმჯობესდა წყალმომარაგება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტერიტორიაზე არსებული გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია. ასფალტის ახალი საფარი 10 000 კვ. მ-ზე მოეწყობა.



ინფორმაცია

## უბედური შემთხვევა წყალტუბოში

წყალტუბოში „სილქნეტის" წყალტუბოს სერვისცენტრის დირექტორი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაიცვალა. უბედური შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც იგი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით ბოძზე ავიდა, რა დროსაც მას დენმა დაარტყა და ადგილზევე დაიღუპა.




შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს, რომ მომხდარზე გამოძიება 170-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც შრომის უსაფრთხოების დაცვის წესების დარღვევას გულისხმობს.

სულიერება

# შალვა ახალციხელი (თორელი)



**30 ივნისს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია იხსენიებს მოწამე შალვა ახალციხელს (თორელს). იგი იყო ახალციხის ოლქის მმართველი, მანდატურთუხუცესი.**

...შამქორის ომში გამარჯვების შემდეგ შალვამ ხალიფას დროშა წამოიღო ნიშნად ქრისტიანობის უძლეველობისა და ხახულის ღვთისმშობელს შესწირა სხვა უამრავ ნადავლთან ერთად.

წმინდა თამარ მეფის ასულის რუსუდანის მეფობისას საქართველოში ჯალალედინი შემოიჭრა. მეწინავე ლაშქრის მეთაურობა მოხუცმა სარდალმა ივანე ათაბაგმა ძმებს — შალვა და იოანეს მიანდო. ძმები გამოირჩეოდნენ სიმამაცითა და სიმხნევით. ამ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. იოანე მოკლეს და შალვა ტყვედ ჩაიგდეს სპარსელებმა. ჯალალედინმა დაჭრილის მიმართ დროებითი მოჩვენებითი ყურადღება გამოიჩინა, ერთი წლის შემდეგ კი, როდესაც ჭრილობები მოუშუშდა, მას გამაჰმადიანება მოსთხოვა და აღუთქვა დიდი თანამდებობა და პატივი. შალვა ახალციხელმა უარი განაცხადა ამ წინადადებაზე. განრისხებულმა შაჰმა ბრძანა შალვას წამებით მოკვდინება...

ცნობილია, რომ შალვა ახალციხელის ღვაწლმა ხალხურ პოეზიაში ჰპოვა ასახვა. პოპულარული ქართული სიმღერა „შავლეგო" განადიდებს მის ხორციელ ვაჟკაცობას და ღვაწლს.

**გიული ლიპარტია**

## ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის" კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35**.

## იყიდება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის" ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599 98 56 33; 599 37 00 35.

ტესტი

# როგორია თქვენი ფსიქოტიპი?

**წინამდებარე ტესტი დაგეხმარებათ თქვენი ფსიქიკის ზოგიერთი მნიშვნელოვანი თავისებურების შეცნობაში.**

**თითოეული მტკიცება შემდეგნაირად უნდა შეაფასოთ: „ეს ასეა" — 5 ქულა; „უფრო კი, ვიდრე არა" — 4 ქულა; „ზოგჯერ" — 3 ქულა; „უფრო არა, ვიდრე კი" — 2 ქულა; „არა" — 1 ქულა.**

1. მე ვხედავ კაშკაშა, უცნაურ სიზმრებს.
2. როცა რაიმე სამუშაოს ვიწყებ, არ მიყვარს თავის რაიმე კონკრეტული გეგმით შეზღუდვა, ბევრ რამეში საკუთარ ინტუიციას მივყვები.
3. ზოგიერთ ჩემს გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას გარშემო მყოფნი ახდენენ.
4. მიტაცებს თეატრი, პოეზია, ფერწერა.
5. არაპრაქტიკული ადამიანი ვარ.
6. ადვილად შემიძლია წარმოვიდგინო თავი რომელიმე ცხოველად.
7. ვითრგუნები, როცა ბინაში ყველაფერი მკაცრად განსაზღვრული წესითაა დაწყობილი და თითოეულ ნივთს თავისი განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩენილი.
8. ჩემი წყენა ადვილია.
9. როცა ახლობელ ადამიანს რამე ემართება, ასე მგონია, თითქოს ეს ამბავი თავად შემემთხვა.
10. კინოში, თეატრსა თუ მხატვრულ ლიტერატურაში, სიუჟეტური ხაზის სრულ სიცხადეს დამაინტრიგებელი დაუსრულებლობა მირჩევნია.
11. ჩემი გრძნობები, შეუმჩნევლად, ერთი მეორეში გადადის.
12. ისე ხდება ხოლმე, რომ მგონია, თითქოს ვიღაცამ სახელი დამიძახა, მაგრამ რომ ვიხედები, არავინ არ არის.
13. რამდენადმე მოსაწყენი ორგანიზაცია შეიძლება ეწოდოს იმას, სადაც ყველამ მკაფიოდ იცის თავისი მოვალეობა და სრულიად გარკვეულია, თუ ვინ რაზე აგებს პასუხს.
14. მიყვარს ოცნება, ფანტაზიები.
15. ჩემი გულღიაობა და ზოგიერთებთან ზედმეტი სიახლოვე პრობლემებს მიქმნის.
16. ჩემთვის ადვილია ბავშვობის შეგრძნებებისა და გრძნობების გახსენება.
17. ძნელია მკვეთრი ზღვრის გავლება იმ ადამიანებს შორის, რომელთაგან ზოგს აქვს ფსიქოლოგიური პრობლემები, ზოგს კი ასეთები, პრაქტიკულად, არა აქვს.
18. არაჩვეულებრივი მშობლები, გულის სიღრმეში, თავადაც ბავშვები არიან.



## ქულები დააჯამეთ და გაეცანით დასკვნებს

**არაუმეტეს 25 ქულისა**. ცხოვრების ხორციელ სიამოვნებას თქვენთვის მაინცდამაინც დიდი ტკბობა არ მოაქვს. გარშემო მყოფებთან ურთიერთობისას ზოგჯერ სიძნელეებს განიცდით. სამაგიეროდ, თქვენი წყობიდან გამოყვანა საკმაოდ რთულია. თქვენ იშვიათად იღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს, ვინაიდან არა ემოციებით, არამედ ლოგიკით ხელმძღვანელობთ. გირჩევთ: ნუ ჩაიკეტებით საკუთარ თავში და შინაურების მიმართ უფრო გულისყურიანი იყავით.

**26-დან 50 ქულამდე**. თქვენი ფსიქიკის მოწყობა ახლოა ოქროს შუალედთან, რაც ძალიან კარგია. ზომიერება შესაძლოა, თქვენი წარმატების საწინდარი გახდეს.

**50 და მეტი ქულა**. თქვენ, როგორც ჩანს, მეტად მგრძნობიარე ხართ გარეშე გამაღიზიანებლების მიმართ, სხვებზე უფრო მეტად გაწუხებთ მაღალი ხმები და კაშკაშა სინათლე. მოკლებული არა ხართ ეჭვიანობას, გუნება-განწყობაც ხშირად გეცვლებათ. ასეთი ფსიქიკის მქონე ადამიანები, როგორც წესი, შემოქმედებითი ნატურები არიან. შესაძლებლობისამებრ ეცადეთ თქვენს გარშემო მოვლენებს მშვიდად მიუდგეთ და პირველსავე შემხვედრს საკუთარ გულს ნუ გაუხსნით.

ЗДОРОВЬЕ

რეკლამა
29 3-37-87;
568 82-09-84.
მაჩაბლის ქ.
№7.

კადრი



ცინცხალი ანეკდოტები

— რაღაც ცუდად გამოიყურები.
— მოწევის სურვილის საწინააღმდეგო ტაბლეტები ვიყიდე...
— მერე როგორაა საქმე? დაგეკარგა სურვილი?
— წამიერად. ახლა ყოველგვარი სურვილის გარეშე ვეწევი.

* * *

— პეტკა, გიყვარვარ? — ეკითხება საწოლში დაშა.
— მიყვარხარ, შე ჩერჩეტო!
— პეტკა, მითხარი, რომ გინდივარ.
— მინდიხარ, საზიზღარო.
— ოჰ, რა ხარ, პეტკა, მკვდარსაც კი დაიყოლიებ.



* * *

— რა საშინელებაა! მივედი გუშინ სახლში და დავინახე, რომ ჩემი სამი წლის ბიჭუნა ჩემს ხელნაწერებს ხევდა, — წუწუნებს მწერალი.
— ღმერთო ჩემო! ნუთუ სამი წლის ბავშვმა კითხვა იცის?!

* * *

ისეთივე გონებაჩლუნგი და დებილი ხარ, როგორიც მამაშენი, — ეჩხუბება დედა ოროსან შვილს.
მისი ქმარი, რომელიც ამ დროს კართან იდგა და ყველაფერი გაიგონა, ოთახში შემოვიდა.
— ესე იგი, შენი აზრით, მე გონებაჩლუნგი და დებილი ვარ?
— შენ გაჩერდი, შენ არ გეხება...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24